# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 18 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 186 (6286)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


გამსკდარი „წვეთი“

## გაუპატიურებული საზოგადოებრივი აზრი, გაბახებული ფედერაცია და დამბლადაცემული „ნაყოფი“,

## ანუ როდესაც დათესილზე ბევრად უარესი რამ მოვიმკეთ და მოვიმკით



**უწინარესად მკითხველთან უნდა მოვიხადო დიდი ბოდიში წერილის სათაურში გამოყენებული წასაკითხ-ალსაქმელად ძნელად „გადასამუშავებელი“ სიტყვების გამო, რომლებიც, სამწუხაროდ, რეალობას უზუსტესად ასახავენ.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გუშინ განვითარებულ მოვლენებზე, უმთავრესად კი პრეზიდენტის პოსტიდან უმცროსი ნოდარ ახალკაცის „გადადგომაზე“ მოგახსენებთ (რატომ ჩავსვი ბრჭყალებში სიტყვა გადადგომა, ამას ქვემოთ ნახავთ, მკითხველო).**

ნოდარ ახალკაცი, გეხსომებათ, ფედერაციის პრეზიდენტად ხელმეორედ 2007 წლის 13 მაისს „აირჩიეს“.

მაშინ ჩვენი გაზეთის 15 მაისის ნომერში გამოვაქვეყნე წერილი და ვიკითხე, ხალხს, რომელსაც თავის ნებაზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვერ აურჩევია, ქვეყნის პრეზიდენტის არჩევას დაანებებენ-მეთქი?

ეს არჩევნები იმ წვეთს შევადარე, რომელშიც მთელი „ოკეანე“ – ჩვენი ქვეყანა და საზოგადოება ირეკლება.

უთუოდ გასკდება-მეთქი ის „წვეთი“.

გასკდა კიდეც, მაგრამ წამხდარ საქმეს რა ვუყოთ, ანუ იმას, რომ „ფეხბურთის განვითარებისთვის“ დახარჯული მილიონების მიუხედავად, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში (ტოპმიოლერის მწვრთნელობისას ქვეჯგუფში ბოლოსწინა ადგილზეღა გავედით, ამჯერად მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში (უკვე კუპერის მწვრთნელობისას კი ქვეჯგუფში პირველები ვართ... ბოლოდან?!

2007 წლის „არჩევნები“ მართლაც აბსურდის თეატრი იყო.

თუმცა რატომ აბსურდის თეატრი, ჩვენი დღევანდელობის შესაფერისი!

უბრალოდ სირცხვილია, როდესაც თვითმარქვია რეჟისორები ასე უნიჭოდ დადგმულ სპექტაკლს სთავაზობენ ხალხს და შავის თეთრად გასაღებას ცდილობენ.

სირცხვილი არა, უფრო მეტი – დიდი უბედურებაა, როდესაც არც ცდილობენ ამას – შავის თეთრად გასაღებას, პირდაპირ გეუბნებიან, შავზე თეთრიაო.

ჩვენ ის ქვეყანა ვართ, სადაც ყველაფერს, ფეხბურთის ამბებსაც კი, უჩინარი პოლიტიკოსი ყუფარაძე („ცისფერი მთების“ პერსონაჟიძ, უფრო სწორად, მისი ტელეფონის ზარი წყვეტს.

თუმცაღა მაშინვე , იმ „არჩევნების“ დღესვე ვიცოდით მეც და სხვებმაც, რომ „ყუფარაძე“ სულაც არ გახლდათ უჩინარი, იგი ნაცმოძრაობისა და საპარლამენტო უმრავლესობის „ელიტური“ ნაწილი იყო.

**უწინარესად სწორედ მან და მისმა ყოვლად უგვანმა პოლიტიკამ მიიყვანა ქართველი ხალხი და ქვეყანა ჯერ 2007 წლის 7 ნოემბრამდე, მერე კი 2008 წლის პრეზიდენტ-პარლამენტის „არჩევნებამდე“, რომელთა პრელუდიაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ხსენებული „არჩევნები“ გახლდათ.**

რა მივიღეთ ამ უკანასკნელის შედეგად?

**ზუსტად ის და მხოლოდ ის, რაც ამ წერილის სათაურშია ნათქვამი!**

და პირადად ჩემთვის (დარწმუნებული ვარ, არა მარტო ჩემთვისძ ერთობ გულსატკენი რამ: **კარგი მამის ალმა ხნული, ცუდმა შვილმა დაბლა ფარცხა!**

ანუ სწორედ ის 13 მაისი, რომელიც უფროსი ნოდარ ახალკაცის წყალობით ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ფეხბურთის ისტორიასა და ქართველი ხალხის მეხსიერებაში, უმცროსმა ნოდარ ახალკაცმა თავისი უთავმოყვარეობა-უპასუხისმგებლობით, უვიცობა-უნდილობითა თუ უამრავი სხვა დარდუბალით ქართული ფეხბურთისთვის სამარცხვინო თარიღად აქცია...

წერილში ნახსენები რიგით პირველი პრეზიდენტი – ფეხბურთის ფედერაციის შეფი – **დაიბარეს** (იქ და მათ, სადაც და ვინც, სამართლიანობის თუნდაც ყველაზე ელემენტარული ნორმებისა და საზოგადოებრივი აზრის, საფეხბურთო სამყაროს სურვილის სრული იგნორირებით იგი ამ ორი წლის წინათ ხელმეორედ „გაამეფა“ძ **და „წავიდა“.**

ამბობენ, იტალიის ნაკრებთან წაგებაც არ აპატიესო!

რატომ, კაცო, ერთი შეხედვით, განა რად უნდა ყოფილიყო ასეთი საგანგაშო მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონებთან წაგება, როდესაც ამ წერილში ნახსენებ რიგით მეორე პრეზიდენტს – რომელიმე ერთი ფედერაციის შეფს კი არა, მთელი ქვეყნის „მეფეს“ – „ჟანგიანი ტანკებით“ ალჟურვილ „იმასთან“ (ასე ირონიულად მოიხსენიებდნენ „იმას“ შარშანდელ აგვისტოს ომამდე და ახლაც ნაცმოძრაობისა და საპარლამენტო უმრავლესობის „ელიტური“ ნაწილის წევრებიძ წაგება...

**აჰ, თუმცა, ბოდიში, შემეშალა! „იმასთან“ ხომ მოვიგეთ, წავაგეთ კი არა! გამარჯვებული ვართ!**

**ამიტომ არც რიგით მეორე პრეზიდენტის – „მეფის“ გამომძახებელი თანამდებობის პირია საჭირო – გამარჯვებულს ხომ არ ასამართლებენ!**

**მაგრამ ხალხმა თუ სხვანაირად გადაწყვიტა?**

**მაშინ, იუმორისტ ბიძინა მახარაძის ერთი მინიატიურისა არ იყოს, მაგარი ჰო-ო-ო!!!**

**მაშინ მეორე „წვეთიც“ გასკდება!**

რუსლან რუსია.


თემის გაგრძელება იხ. 10 გვ.



გია გაბრიჭიძე: მოლოდინის ერთი კვირა 3

ანზორ თოთაძე: ქართული სოფელი კვდება! 5

ბიძინა მგალობლიშვილი – კაცი, რომელიც ლეგენდად იქცა... 7

მიხაილ ჟვანეცკი: „შიშველი ქალები ქვეყანას ვერ გადაარჩენენ“ 9

თვალსაზრისი

# ოპოზიციური შემოდგომა განხეთქილებით იწყება



**მიხეილ სააკაშვილი დაპირებების შესრულებას შეუდგა. ამ ფრაზამ შეიძლება მავანი დააეჭვოს, მაგრამ პრეზიდენტმა მასმედიის წარმომადგენლებს ეს თვითონ განუცხადა და „შეკვეთაც“ მისცა, რომ ამიერიდან მისი გამოსვლები ასე შეაფასონ ხოლმე. სააკაშვილმა ნაციონალების ყბადაღებულ ლოზუნგს „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ ახალი ვარიაცია გამოუძებნა „საქმე ლაპარაკის პარალელურად“ და ყოველ მის მგზნებარე გამოსვლას მოსიარული ტრიბუნასთან, სახურავზე თუ სახურავს ქვეშ ფონად მოფუსფუსე მუშახელი ამშვენებს.**

საზოგადოების გულისყური ახლა მთელი სიმძაფრით პოლიტიკური შემოდგომისკენ არის მიმართული, რას მოიმოქმედებს ოპოზიცია? თუმცა ტელეარხებზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები ჩანან. ეტყობა „ფორუმელების“ იდეა, რეგიონებში გასვლა და ხალხის გადმობირება, ოპოზიციაზე უკეთ ხელისუფლებამ აიტაცა და საგულდაგულოდ გააქტიურდა კიდეც. ვხედავთ, როგორ აწყობენ ქუჩის შოუებს (და არა აქციებს!), როგორ ხვდებიან მოსახლეობას და ანგარიშს აბარებენ, აგებენ გზებს, გაჰყავთ გაზი, წყალი, როგორ იგებენ ზოგიერთთა გულებს... სააკაშვილი ყოველ თავის გამოსვლაში ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი, რომ „დავეწევით და გავუსწრებთ“ ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან: გერმანია, შვეიცარია, ინგლისი, იაპონია და ა.შ. როცა მიხვდა, რომ ეს საკმაოდ პრეტენზიული განაცხადი იყო, რომელიც ოპონენტებმა უმალვე გაუშარჟეს და საქილიკო გახადეს, ამ დაპირებას თან ახსნა-განმარტება დაურთო: მართალია, ჩვენ ასეთ ქვეყნებს ეკონომიკური და ტექნიკური თვალსაზრისით კიდევ დიდხანს ვერ მივუახლოვდებით, მაგრამ მათზე კომფორტულად და ბედნიერად ვიცხოვრებთო. ვიცი, რომ ახლა ხალხს ძალიან უჭირს, სულაც არ მინდა, დავამალო, მაგრამ ევროპელებისგან განსხვავებით ყველაზე დაბალი ტარიფებით სარგებლობთო. საქართველოში ყველაზე საუკეთესო ბიზნესგარემოა, რადგან კორუფცია დავამარცხეთო. მოკლედ, პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობს, ბედნიერი ერის ბედნიერ მმართველად იგრძნოს თავი და ხშირად ისე შეიჭრება ხოლმე როლში, რომ საკუთარი ტყუილებისა თვითონვე სჯერა.

ხელისუფლება პოზიციებს არ თმობს. დღე და ღამეს ასწორებენ იმაზე ფიქრში, როგორ შეინარჩუნონ თანამდებობები, როგორ გაძლონ 2013 წლამდე. ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება აქედანვე დაიწყეს და ნემსისოდენა სიკეთეს აქლემად გადააქცევენ და გააპიარებენ ხოლმე.

საინტერესოა, რას აკეთებს ამ დროს ოპოზიცია? სამწუხაროდ, ცალყბად გადმოისვრიან კომენტარებს, ისევ და ისევ იმის მტკიცებაში არიან, რაოდენ ცუდია ხელისუფლება, მაგრამ რა არის უკეთესი, ჯერ ვერ ამბობენ (იქნებ არც იციან!).

ოპოზიციონერ ლიდერებზე ლამის „ნადირობა“ გვაქვს გამოცხადებული ჟურნალისტებს, თუმცა მათი მოხელთება ამ ეტაპზე ძნელია. ყოველ შემთხვევაში, ჩამოყალიბებულები არ არიან იმ აკვიატებულ კითხვაზე საპასუხოდ, რაც ყველას აინტერესებს — რას აპირებს ოპოზიცია? ამიტომაც შეგნებულად ერიდებიან გულწრფელ ინტერვიუებს.

თითქოს არავინ ელოდა, რომ საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებული ლიდერები შეცდომებზე ილაპარაკებდნენ, ერთმანეთს დაადანაშაულებდნენ და მერე ცალკე ბრძოლის გზაზე დაიწყებდნენ ფიქრს, მაგრამ, ასე კი მოხდა. დღეს ყველა სათავისო სტრატეგიას ირჩევს და ერთობას ერიდება, რაც ბოლოს და ბოლოს მაინც განხეთქილებამდე მიდის.

ფორუმელებმა რეგიონები მოიარეს და მხოლოდ ის ამბავი ჩამოიტანეს თბილისში, რომ თურმე ხალხი ამბობს: მშია და მეშინიაო. კი მაგრამ ამ ორივე ფაქტორის დასაკმაყოფილებელი სასათბურე პირობები ხომ ისევ და ისევ ხელისუფლების ხელშია?! ოპოზიცია ვერ დააპურებს და მით უფრო ვერ მოუხსნის შიშის განცდას, პირიქით. მაშინ რა, დამშეული და დაშინებული ხალხი შეცვლის ხელისუფლებას, თუ ვინმეს ჰგონია, რომ თბილისში ნაკლებად შიათ ან ეშინიათ?! ანუ იმედად ეს არგუმენტი ვერ ივარგებს.

**თუკი ასე გაგრძელდება, საზოგადოება დაიწყებს განსჯას და ოპოზიციური უმოქმედობის საპირწონედ ხელისუფლების მოქმედებებს დადებს. რა სჯობს, გაიხსნას რამდენიმე საწარმო და დასაქმდეს თუნდაც თითზე ჩამოსათვლელი ადამიანი, გზა გაიყვანონ, მშენებლობა დაიწყონ... თუ ის, რომ ხელისუფლების შეცვლის და უკეთესის მოსვლის იმედით ხალხი უსასრულოდ იდგეს ქუჩაში წვიმასა და ქარში?! ამით არც სოციალური პრობლემა გვარდება და არც ეკონომიკური. რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, რუსთაველზე დგომა და „წადი მიშას“ ყვირილით ვერც ამ საქმეს ეშველება.**

აშკარაა, რომ რაღაც ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადადგას ოპოზიციამ. ოღონდ არა ადამიანებისთვის ყოველდღიური ყოფისა და ცხოვრების რიტმის დარღვევის ხარჯზე. შეიძლება ამას სულაც არ მოჰყვეს კარდინალური ცვლილებები ხელისუფლებაში, მაგრამ რადიკალურად კი შეიცვალოს ქვეყნის შიდა თუ საგარეო პოლიტიკური კურსი.

ოპოზიციის ამჟამინდელი არჩევანი, „რადიკალურობა კონსტიტუციის ფარგლებში“ შეიძლება ითქვას, ძალიან პირობითია. აღმოჩნდა, რომ ეს ორი სიტყვა ანტონიმებია და ერთმანეთს საერთოდაც ვერ ითავსებს. ან რადიკალიზმი, ან კონსტიტუციური გზით ბრძოლა, სხვა პრინციპული გამოსავალი ოპოზიციას არა აქვს.

სხვა რა გზაა! რახან ოპოზიცია ამტკიცებს, სექტემბრის ბოლოს გავამჟღავნებთ ჩვენს გეგმებსო, უნდა დაველოდოთ, მაგრამ სააკაშვილი პიარაქციებით ისე აქტიურობს, ეს ორი კვირა რითი „გაახარებს“ ამომრჩევლის გულებს, არავინ იცის.

**ისე, ამას წინათ წეროვანის ახალგახსნილი სკოლის პირველკლასელმა გულუბრყვილოდ რომ უთხრა პრეზიდენტს, მე თქვენ ტელევიზორში გნახეთო, აცეტებულმა მიშამ უპასუხა: რას მეუბნები, აშკარად ვიღაცაში გეშლებიო. ვშიშობ, ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციასაც ასეთივე პასუხი არ გასცეს: აშკარად სხვაში გეშლებითო!**

**თეა მოსია**

SIC!

# იქნებ აფხაზებს ალერგია არ ჰქონდეთ!..

**მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი „აფხაზეთის ეპარქიის“ დროებით რუსეთის ეკლესიის მმართველობაში გადაცემის ინიციატივით გამოდის**

მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი პროტო-დიაკონი ანდრეი კურაევი „აფხაზეთის ეპარქიის„ დროებით რუსეთის ეკლესიის მმართველობაში გადაცემის ინიციატივით გამოდის. სკანდალური განცხადება კურაევმა “ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. კურაევი მიიჩნევს, რომ ეს აფხაზური ეკლესიის პრობლემის გადაწყვეტისთვის ოპტიმალური ვარიანტი იქნება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ თხოვნით რუსულ ეკლესიას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უნდა მიმართოს. „იმ შემთხვევაში, თუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მოსკოვის პატრიარქს თხოვნით მიმართავს, დროებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეპარქიების მეთაურის მოვალეობა შეასრულოს, არ დაირღვევა საერთო მართლმადიდებლური კანონები, რომლებიც ერთი ეკლესიის მიერ მეორის უფლებამოსილებაში ჩარევას კრძალავს. ამასთანავე, შენარჩუნებული იქნება საქართველოს ეკლესიის ღირსება და მისი კანონიკური საზღვრები“ - აღნიშნავს ანდრეი კურაევი და დასძენს, რომ მსგავსი პრაქტიკა მიღებულია, თანაც ეს აფხაზებს და ოსებს საშუალებას მისცემს საღვთო ლიტურგია კანონიერი მღვდლების მეთაურობით ჩაატარონ.



„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეპარქიები იქნებოდა ჩვეულებრივი ეპარქიები რუსული ეკლესიის შემადგენლობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ როდესმე, მათ ქართული ეკლესიის შემადგენლობაში დაბრუნების სურვილი გაუჩნდებოდათ, პრობლემა არ შეექმნებათ. ვინ იცის, იქნებ 3-4 თაობის შემდეგ, აფხაზებს აღარ ჰქონდეთ ალერგია ყველაფერ იმაზე, რაც საქართველოსთანაა დაკავშირებული“,- ნათქვამია ინტერვიუში. რუსი მოძღვრის შეფასებით, აფხაზეთის ეკლესიის გადაწყვეტილება მიმართული იყო იმისკენ, რომ მოლაპარაკებები დაწყებულიყო. „ბოლო 20 წლის განმავლობაში ქართული ეკლესიის პოზიცია მომთმენი და ღირსეული იყო. ის არ იმჩნევდა აფხაზეთის ეპარქიის რეალურ დამოუკიდებლობას და საქართველოს პატრიარქი არანაირ კანონიკურ სანქციებს არ აწესებდა. თუმცა ახლა ცხადი გახდა, რომ პრობლემის შეუმჩნევლობა საკმარისი არ არის და აფხაზური მხარის გადაწყვეტილება ოფიციალურ პასუხს ითხოვს“, — აცხადებს კურაევი და იმედოვნებს, რომ ოფიციალური პასუხი სანქციებს ისევ არ გაითვალისწინებს და რეალური მოლაპარაკებები დაიწყება, ოღონდ უკვე რუსეთის პატრიარქის მონაწილეობით.

ინფორმაცია

## პატრიარქი 38-მდე ბავშვის ნათლია გახდება

**ჩვილ ბავშვთა მორიგი, რიგით მერვე საჯარო ნათლობა 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე გაიმართება.**

საქართველოს პატრიარქი ამჯერად 38-მდე ბავშვის ნათლია გახდება.

ნათლობის ცერემონიის გამართვა კვლავ სამების საკათედრო ტაძარში იგეგმება.

ჩვილთა რეგისტრაცია უკვე დასრულებულია.

ილია მეორე ასობით პატარის ნათლია უკვე არის. ყველა მათგანი ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილია.

პატრიარქის სწორედ ამ ინიციატივამ შეუწყო ხელი ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესებას.

## საქართველოს მოქალაქეები აზერბაიჯანის გავლით რუსეთის ტერიტორიაზე ვეღარ მოხვდებიან

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ საქართველოს მიერ დსთ-ს დატოვებასთან დაკავშირებით, ამ ქვეყნის მოქალაქეები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აზერბაიჯანისა და რუსეთის სახმელეთო საზღვრის გავლით უკვე ვეღარ მოხვდებიან.**

— საქართველოს მიერ 2009 წლის 18 აგვისტოს დსთ-ს ფარგლების დატოვებით, ამ ქვეყნის მოქალაქეები ავტომატურად ამოვარდნენ იმ უცხოელთა ნუსხიდან, რომელთაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შემოსვლა აზერბაიჯანისა და რუსეთის სახმელეთო საზღვარზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით შეუძლიათ,— ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ დილით გავრცელებულ განცხადებაში.

S O S!



## ვინ შეიწყალა მკვლელი რატი რეხვიაშვილი?

**დიმიტრი ლორთქიფანიძე საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გივი აფციაურის მკვლელობის გამო პასუხისმგებლობას პრეზიდენტ სააკაშვილს აკისრებს და პრეზიდენტისგან იმ თანამდებობის პირთა დასახელებას ითხოვს, რომლებმაც რატი რეხვიაშვილის შეწყალება სთხოვეს. ეს განცხადება ლორთქიფანიძემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა.**

მისი თქმით, პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი **რატი რეხვიაშვილი შეწყალების კომისიას არ შეუწყალებია და იგი ციხიდან გასული წლის ბოლოს პირადად პრეზიდენტის ნებით გამოვიდა.**

ლორთქიფანიძის მტკიცებით, გასული წლის ბოლოს რატი რეხვიაშვილი სწორედ იმ პატიმრებთან ერთად გათავისუფლდა, რომლებიც პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეიწყალა და ამის გამო მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა აუცილებლად უნდა დაასახელოს, ამ პირის შეწყალება ვინ სთხოვა და გუშინწინდელი შემთხვევის გამო პასუხისმგებლობა აიღოს.

**ᲮᲝ-ᲔᲝᲑ-ᲔᲜᲝ**

◉ განსჯა

**ველოდებით.**
**ყველა ველოდებით ჯერ გაეროს ასამბლეას და შემდეგ ევროსაბჭოს გადაწყვეტილებას, თუ როგორ დაისჯება რუსეთი.**
**ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ და ცელქობის შემდეგ, გვახსოვს დასჯის ფორმები.**
**ხან კუთხეში გვაყენებდნენ. ხან მშობლებს დაიბარებდნენ დირექტორთან. ხანაც უფრო მკაცრი ზომებით გვემუქრებოდნენ, მაგრამ გულზე ხელი დაიდეთ და თქვენთვის გულში ჩაილაპარაკეთ: — ჭრიდა? რა, ცელქობას აღარ აგრძელებდით? ან უცებ დამჯერ ბავშვებად გადაიქცეოდით, თუ რა?**
**„კურიერების“ მიერ ატეხილ იმ საინფორმაციო ბლეფთან დაკავშირებით, რომელიც ქართული დიპლომატიის წარმატებას „გვამცნობდა და იმედის შუქით გვავსებდა“, რამდენიმე კითხვა დამებადა.**
**ამ კითხვებს ამ წერილში გაგაცნობთ და შევეცდები შეძლებისდაგვარად პასუხებიც ვიპოვო.**

ძვირფასო მკითხველო, დამერწმუნეთ, რომ ქართულ „კურიერებში“ ნაჩვენები ინტერნეტ-ინფორმაცია, რომელსაც გვერდით BBC აწერია, და თავად ინფორმაცია სწრაფად „მიდის“, ტყუილია.

ტყუილია და იმ ჟურნალ-გაზეთების მიერ „მოწოდებული ინფორმაციის“ მსგავსია, რომელთა „მჭახე“ სათაურები მორიგ სენსაციებს გვთავაზობენ და ამ დროს, წერილი და სათაური ცა და დედამიწასავით განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

# მოლოდინის ერთი კვირა

პირველი კითხვა აბსოლუტურად არ ეხება რუსეთის ზოგიერთი მოქალაქის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის იმ მოადგილეს, რომელიც სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოგვარეა და „წარმატებებს“ აღწევს საქართველოს საგარეო პრობლემების მოგვარებაში.

უბრალოდ ქართული „კურიერების“ „ორიენტაციაზე“ მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

როდესაც ამ ე. წ. საინფორმაციო გადაცემებს ვუყურებ, რატომღაც მგონია, რომ საქართველოში კი არ ვცხოვრობ, არამედ რუსეთის რომელიღაც პროვინციაში და იმ პროვინციულ რეგიონში მცხოვრები, ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესმენის მიერ დაფინანსებულ, ადგილობრივ „ქრონიკას“, თუ „კურიერს“ ვუყურებ.

აბა კარგად დააკვირდით.

სახელისუფლებო ტელემედია იწყება და მთავრდება ისეთი სახის ინფორმაციებით, რომლებიდანაც „ნათლად ჩანს“, რომ რუსეთი ორ წელში, თუ არა, ორ წელიწადნახევარში დაიშლება, ან საერთოდ გაქრება მსოფლიოს რუკიდან.

ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია (მისაღები არ არის, მაგრამ ნამდვილად მესმის, თუ რა უნდათძ ხელისუფლების მიერ, საკუთარი მოსახლეობის მოსატყუებლად განხორციელებული პიარაქციები, რომლებსაც „მთავრობის ანგარიში“ ჰქვია, მაგრამ ეს ხელისუფლება, საერთაშორისო მასშტაბითაც თუ „გაიჭრებოდა“, ნამდვილად არ მეგონა.

რაღა დაგიმალოთ და, მეც მაქვს ინტერნეტი. ამიტომ გადავწყვიტე ჯერ სხვადასხვა საინფორმაციო საიტზე მენახა იმ „დიადი დიპლომატიური წარმატების“ მოსალოდნელი შედეგები, რომელიც ევრო-



საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განახორციელეს ჭიაბერაშვილმა, ლომაიამ, რუსეთის მოქალაქე გრიგოლ ვაშაძემ და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნალბანდოვმა (იაკობაშვილზე აღარაფერს ვამბობძ.

როდესაც ინტერნეტ გვერდებს გადავხედე, ერთი პირობა გადავწყვიტე, რომ იმ ჩემი პროვაიდერისთვის მეჩივლა, რადგანაც არც ერთ წამყვან ვებ-გვერდზე, აბსოლუტურად არ იყო რუსეთზე საქართველოს გამარჯვების დამადასტურებელი ინფორმაცია, მაგრამ შემდეგ გამახსენდა, რომ „კურიერებს“ არ უნდა „ავყოლოდი“ და დავმშვიდდი.

შემდეგ ქართველი „ექსპერტების“ „ღრმა ანალიტიკურმა აზროვნებამ“ გამაოცა, რადგანაც მათი განმარტებებიდან გამომდინარე: **— რუსეთმა, თუ გაითვალისწინა დასავლეთის რეკომენდაციები, მაშინ სიტუაცია, უფრო სტაბილური იქნება, მაგრამ თუ არ გაითვალისწინა, მაშინ ვითარება უფრო დაიძაბება** (ამ „ანალიზის“ მოსმენის შემდეგ, სიტყვა „აზროვნებაც“ მინდოდა, რომ ბრჭყალებში ჩამესვა, მაგრამ გადავიფიქრეძ.

რა მაგის პასუხია და, ის ე.წ. „ექსპერტები“ (არა აქვს მნიშვნელობა, ეკონომიკურ საკითხებში არიან „დახელოვნებულნი“, პოლიტიკურში, თუ სამხედრო პრობლემებს „სწავლობენ“ძ, ვენახში, ან ყანაში რომ გაგვემწესებინა და სერიოზული ყურადღება მიგვექცია (რომ არ „ისაჩკაონ“ძ, მინდვრის თაგვებს საკვები აღარ დარჩებოდათ, რუსეთში გადაიხვეწებოდნენ. ამით კიდევ ერთ დიდ დარტყმას მივაყენებდით მათს ეკონომიკას, მაგრამ ვინაა პატრონი.

**ახლა რაც შეეხება ამ წერილის ერთობ სერიოზულ ნაწილს:**

ყველას ძალიან გვაწუხებს საკითხი: **საქართველო-რუსეთი-დასავლეთი**.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აგვისტოს ომის დაწყებიდან მეორე დღეს, მე ვესაუბრე პარლამენტის წევრს ბატონ ნიკა ლალიაშვილს, რომელმაც მაჩვენა ერთ-ერთი ამერიკული ორგანიზაციის, „ატლანტიკ ჰაუსის“ მიერ გაკეთებული ანალიზი და ის რეკომენდაციები, რომლებიც ამ ორგანიზაციამ თეთრ სახლს მიაწოდა (ამ ორგანიზაციის მაშინდელი ანალიზი გასული წლის აგვისტოში ჩვენი გაზეთის საშუალებით გაგაცანითძ.

სექტემბერში, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრებები დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობების, აგვისტოს ომის შემდგომი განვითარების შესახებ (რომლებიც სავარაუდოდ დასავლეთის ქმედების სარეკომენდაციო საფუძველი უნდა გამხდარიყოძ.

ბჟეზინსკის მოსაზრებები, აბსოლუტურად ეთანხმებოდა „ატლანტიკ ჰაუსის“ რეკომენდაციებს და რუსეთის „გარკვეულ ჩარჩოებში“ მოქცევის საკმაოდ საფუძვლიან წინაპირობას იძლეოდა, მაგრამ ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს „უნიათობამ“, მათმა „ჩუმმა“ ანტიამერიკულმა განწყობამ და რუსულმა ენერგოტერორმა, ბჟეზინსკის რეკომენდაციები „ჩააჩოჩა“ და მათი საერთო „შეშფოთების“ ფონზე, რუსეთს საშუალება მისცა ეღიარებინა ე.წ. აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა (ჩემს ამ მოსაზრებას, პრივატულ საუბარში, სხვადასხვა დროს დაეთანხმნენ გაზეთ „შტერნისა“ და „უოლ სტრიტ ჯორნალის“ კორესპონდენტები ანდრეს ალბენსი და ენდრიუ ოსბორნიძ.

იხ. 4 გვ.

◉ ბრიფინგი

## რა ღირს საქართველოში საარსებო მინიმუმი?!



**გუშინ პარლამენტში „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ ბრიფინგი გამართა თემაზე: რა ღირს ერთი ადამიანისთვის საარსებო მინიმუმი. სტატისტიკის დეპარტამენტს თუ დავუჯერებთ, საქართველოში საარსებო მინიმუმი 123 ლარია, ამ თანხით კი მოხუცებულთათვის თავის რჩენა შეუძლებელია. ბაღათურიას განცხადებით, საარსებო მინიმუმი 200 ლარი მაინც უნდა იყოს. ამ 200 ლარში მხოლოდ ამ პროდუქტების შეძენა შეიძლება... ზეთი 1 ლ — 2,7 ლარი; პური 1 ც — 70 თ; შაქარი 1 კგ — 1,8 ლარი, მარილი 1 კგ — 70 თ; მაკარონი — 1 კგ — 2,5 ლარი; ბრინჯი 1 კგ — 1,5 ლ; სარეცხის საშუალება — 3,5 ლ; საპონი — 1 ლ; ასანთი — 1,30 თ; ეს ყველაფერი 106 ლარს უდრის, რასაც ემატება დენისა და გაზის გადასახადები და მოხუცებულთათვის ყველაზე საჭირო — წამლები, მინიმუმ 15 ლარის ფარგლებში — სულ ერთად — 185 ლარი.**

**ამ ყველაფრის ფონზე ჯონდი ბაღათურია სვამს კითხვას: როგორ უნდა იმყოფინონ 123 ლარი? ბაღათურია სტატისტიკის დეპარტამენტისგან მოითხოვს, რომ გამოგზავნონ ის ფორმულა და ფასები, რომლითაც მათ 123-ლარიანი საარსებო მინიმუმი დაიანგარიშეს.**

ხატია მუსერიძე.

◉ თანამედროვე

# კარგი მაგალითი მომავალი თაობებისთვის

**რუსეთში 25 წელია ვცხოვრობ. მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კათედრაზე დავრჩი სამუშაოდ, ხოლო მოგვიანებით ჩელიაბინსკში გადავედი, სადაც დღემდე ვცხოვრობ; ვარ მეწარმე და ლექციებს ვკითხულობ უმაღლეს სასწავლებელში. გასულ კვირას პეტერბურგში ვიყავი მივლინებით. იქ შემთხვევით შევხვდი მეგობარს ალტაიდან. ამ შეხვედრამ სასიამოვნოდ გამაოცა. როგორც გაირკვა, იგი ალექსანდრე ნეველის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის გადაცემის ცერემონიაზე დასასწრებად იყო ჩამოსული, რადგან ერთ-ერთი ლაურეატი შუკშინის მუზეუმი გახდა. მე პირველად გავიგე, რომ ალექსანდრე ნეველის ლიტერატურული პრემია ხუთი წლის წინათ დაარსდა ღია სააქციო საზოგადოება „ტალიონის“ გენერალური დირექტორის ალექსანდრე ებრალიძის და რუსეთის მწერალთა კავშირის ინიციატივით. ქართული გვარის გაგონებისას ამ პრემიის ისტორიით დავინტერესდი. მეგობარმა ხალისით მომითხრო მის შესახებ.**



ალექსანდრე ებრალიძე ჯილდოს გადასცემს ანდრეი სახაროვს

ალექსანდრე ნეველის პრემიის მიზანია რუსეთის ისტორიისადმი ინტერესის გაღვივება და მხარდაჭერა. ის დაფუძნდა ისტორიულ თემაზე შექმნილი საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებების პოპულარიზაციისათვის, რომლებშიც აღწერილია ისტორიულ პირთა როლი და ადგილი, ასევე მათი გმირული ქმედებები. ალექსანდრე ნეველის პრემიის არსებობის ხუთი წლის განმავლობაში კონკურსზე 700-მდე ისტორიული ნაწარმოები იყო წარდგენილი. პრემიის ნომინანტები და ლაურეატები გახდნენ ავტორები რუსეთიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, მათ შორის: სერგეი პერევეზენცევი — ნაწარმოებისთვის „მეფე ივანე IV მრისხანე“, ვლადიმერ კარპოვი — ორტომიანი ნაშრომისთვის „გენერალისიმუსი“ იოსებ სტალინზე, პეტრე სტეგნი — წიგნისთვის „დრო ქმედებისა“ ეკატერინე მეორეზე და სხვა ცნობილი ავტორები. 2008 წელს გაიხსნა პრემიის ახალი მიმართულება — სამუზეუმო მემორიალური პროექტები, რომელთა მონაწილენი არიან მუზეუმების თანამშრომლები და შემოქმედებითი კოლექტივები რუსეთის ქალაქებიდან.

მეგობარმა მითხრა, რომ 11 სექტემბერს, წმინდანის, კეთილშობილი თავადის ალექსანდრე ნეველის ხსენების დღეს, გაიმართებოდა საიუბილეო, რიგით მეხუთე, დაჯილდოება სრულიად რუსეთის ალექსანდრე ნეველის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის ლაურეატებისა. მეგობარს ვთხოვე, ჩემთვისაც ეშოვა მოსაწვევი ბარათი. იგი დამპირდა და შეასრულა კიდეც სიტყვა.

იხ. 5 გვ.

განსჯა

(მესამე გვერდიდან)

ახლა ვინმემ რომ მითხრას, რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ თავად სჯერა და ამით საქართველოს გაძლიერებას ეწინააღმდეგებაო, მაგრამ გამეცინება, რადგანაც ზემოთ ნახსენები, იმ ყანაში გასაგზავნი „ექსპერტებისგან“ განსხვავებით, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფიქციით, რუსეთი ორ საკითხს უსვამს ხაზს:

**1. ის, იმ „შეშფოთებულ“ საერთაშორისო სტრუქტურებს კიდევ ერთხელ უჩვენებს თავის ძალას.**

**2. მას არ სურს, რომ მისთვის „ძნელ“ რეგიონთან (ჩეჩნეთი, ინგუშეთი და ა.შ.) ახლოს, ჰქონდეს არაკონტროლირებადი ტერიტორია.**

მოდით, ამას დროებით თავი დავანებოთ და ამ რამდენიმე დღეში გასამართ, ევროსაბჭოსა და გაეროს ასამბლეის სხდომებს მივხედოთ.

ამ ასამბლეაზე რუსეთისა და ამერიკის პირველ პირთა გამოსვლა, ორივე ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებით, გადმოცემული იქნება, როგორც თავიანთი პრეზიდენტების გამარჯვება.

რუსეთის პრეზიდენტი გაეროს ასამბლეის სხდომაზე შეეცდება, რომ საკუთარი პერსონა და საკუთარი ქვეყანა წარმოაჩინოს, როგორც საერთაშორისო ტერორიზმისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთადერთი დამარეგულირებელი. ამიტომ ის ზოგად საკითხებზე უფრო გაამახვილებს ყურადღებას, ვიდრე სეპარატისტულ რეგიონებზე. მათ შორის არც ავღანეთზე და არც ერაყზე არ ისაუბრებს რადგანაც ამით შეეცდება ხაზი გაუსვას მსოფლიოს გადანაწილების ახალ, დროებით ვარიანტს (ცხადია, რომ ამერიკელთა ქმედებებს ერაყსა და ავღანეთში „თხლად გაჰკრავს კბილს“. მით უმეტეს, რომ ტელეგადაცემა „ვესტიმ“, ავღანეთში ამერიკის საელჩოს დაცვის წევრების „გართობების“ შესახებ ძალიან ცუდი კადრები გაავრცელა. ამ ფაქტს ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა, სადაც განაცხადა, რომ დაწყებულია სასწრაფო გამოძიება. ეს კი გუანტანამოს ერაყელი პატიმრების წამების შემდეგ, დემოკრატიისა და ადამიანების უფლებების დამცველი ამერიკისთვის, არც ისე სასიამოვნო საკითხიაძ.

მედვედევი თამამად გაუსვამს ხაზს რუსეთის ეკონომიკურ პოტენციალს და შეეცდება გამოჩნდეს, როგორც მსოფლიოს ახალი ლიდერი.

სრულიად მოსალოდნელია, რომ მან საქართველო საერთოდ არ ახსენოს, მაგრამ თუ ეს საკითხი მის ტექსტში იქნება, ის ვენესუელასა და ნიკარაგუას „ამოიყენებს გვერდში“, რითაც ამერიკას მიანიშნებს, მის ახლო ქვეყნებში მიწოდებულ იარაღზე.

გამომდინარე იქიდან, რომ მედვედევი და პუტინი, ხრუშჩოვისგან ძალიან განსხვავდებიან და არც ობამაა კენედი, ამიტომ კარიბის კონფლიქტის განმეორება გამომდინარე კი, შესაძლებელია, რომ ობამას გამოსვლა, საკმაოდ „მოკრძალებული“ იყოს, რადგანაც მას, ეროსი მანჯგალაძის დამალული გოლის არ იყოს, საბანკო სექტორში რაიმე დიდი ფინანსური მარაგი არ უნდა ჰქონდეს გადანახული.

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის გამოსვლა, ნამდვილად ღირსეული იქნება, სამწუხაროდ ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად, გაეროს უნიათო ფორმატი არ იძლევა რაიმე რეალური ძვრების გარანტიას.

# მოლოდინის ერთი კვირა



არ მოხდება და ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლაც საკმაოდ რბილი იქნება.

ამიტომ, ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლაში, საქართველოს საკითხის ხსენების შემდეგ, რუსული საინფორმაციო საშუალებები იტყვიან, რომ ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლა იყო მხოლოდ გამოხმაურება, რუსეთის პრეზიდენტის მიერ ამერიკის კონტინენტზე საკუთარი პოზიციების დაფიქსირებასთან დაკავშირებით.

ეკონომიკური ვითარებიდან ცხადია, რომ იმ დონის შეკრებაზე, რომელზეც რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტები საკუთარ პოზიციებს ხმამაღლა ახმოვანებენ, საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, საკმაოდ სერიოზულია და მას გარკვეული ძვრები უნდა მოჰყვეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ეს ქართული „დიპლომატიის გამარჯვება“ კი არა, უფრო ვენესუელასა და ნიკარაგუაში შეტანილი იარაღის წინააღმდეგ მიმართული ამერიკული ნაბიჯია.

ამ საკითხებთან დაკავშირებით, „კურიერების“ თანამშრომლებისგან განსხვავებით, ერთნაირ „პერანგებში“ გამოწყობილ, ე.წ. „ექსპერტებს“ აღარ მივმართე და ისევ ნიკა ლალიაშვილს დავუკავშირდი, რომელმაც ძალიან მარტივად და გასაგებად ამიხსნა ჩვენი პოზიციის დადებითი და უარყოფითი მხარეები (ძვირფასო მკითხველო, ძალიან გთხოვ არ გამინაწყენდე, რომ ასე ხშირად „ვლადაობ“ იმ უსაქმურებზე, მაგრამ როცა ტელევიზორში ვუყურებ, ან სხვა გაზეთებში ვკითხულობ მათს „დასკვნებს“, მაგრად მეცინება და არ მინდა, რომ თქვენც მოგაკლოთ ეს „სიამოვნება“ძ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო „წონიანია“, ვიდრე ევროსაბჭო, ევროსაბჭოს წევრი 27 ქვეყნის გადაწყვეტილება, რუსეთისთვის ხმის ჩამორთმევის შესახებ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გაეროს ასამბლეის მიერ რაიმე „მკაცრი“ რეზოლუციის მოლოდინი.

ევროსაბჭოს მიერ რუსეთისთვის ჩამორთმეული ხმა, მედვედევის გაეროში „თამამი და ამაყი“ გამოსვლის ფონზე, რუსეთისთვის საკმაოდ სერიოზული დარტყმა იქნება.

მოსალოდნელია, რომ ზემოთ ნახსენები „ატლანტიკ ჰაუსისა“ და ბზეჟინსკის რეკომენდაციები, სწორედ ევროსაბჭომ აამუშაოს.

ძალიან საინტერესოა ევროსაბჭოს მიერ, „რუსული პრობლემის“ დაყენების დროის განსაზღვრაც.

გაეროში მედვედევის სავარაუდო „ბლატაობის“ შემდეგ, ევროსაბჭოს მიერ მიღებული საკმაოდ სერიოზული სანქცია, რუსეთისთვის ძალიან დიდი დარტყმა იქნება.

თუ ეს „თამაში“, ევროსაბჭოს ღირსეული გადაწყვეტილებით დამთავრდა, მაშინ თამამად შეგვიძლია, ვაღიაროთ ამერიკული დიპლომატიის გამარჯვება და ჩვენი ქვეყნისთვის მოსალოდნელი სასიკეთო ძვრები, მაგრამ თუ ევროპელები იმ 20 მილიონის გამო, რომელსაც რუსეთი ყოველწლიურად უხდის ამ ორგანიზაციას, „გულგრილნი“ დარჩნენ მსოფლიოს ახალი გადანაწილების მიმართ, მაშინ ისინი რეალურად აღმოჩნდებიან 1938 წლის მიუნხენში და არა მხოლოდ იმ თანხას დაკარგავენ, ცოტა უფრო მეტ რამესაც.

ვნახოთ რა მოხდება.

**ისე, არა მგონია, რომ ტურისა და მგლის შეჭმულს შორის დიდი განსხვავება იყოს.**

**გია გაბრიჭიძე**

საბანკო სექტორი

# ფანჯარა ბიზნესგარემოში

**რაოდენ უკმაყოფილოც უნდა ვიყოთ ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონითა და უმუშევრობის მაღალი კოეფიციენტით, მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანის ხარისხით თუ ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის ინტენსივობით, ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისთვის, სამეურნეო თუ საფინანსო საქმიანობის გასამარტივებლად ხელისუფლებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ მუშაობას თვალის ერთი გადახედვით შეუმჩნეველი, მაგრამ მაინც დადებითი შედეგი მოაქვს.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ლაპარაკია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ შემუშავებულ ერთ პროდუქტზე, რომლის მიზანია, ქვეყნის მთავრობასთან ერთიანი ძალისხმევით ხელი შეუწყოს საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას. კერძოდ, ცოტა ხნის წინათ ეკონომიკური განვითარების სამინისტროში „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოქმედი ახალი ცენტრი ამოქმედდა, რომელიც **ლიცენზირების, მშენებლობის ნებართვების, ტურიზმისა და იურიდიულ სფეროებს ეხება.**

მოქმედი კანონმდებლობის სხვადასხვა წვრილმანითა თუ განმარტებით, არსებული ინფრასტრუქტურის თუ მოხმარება-გასაღების ბაზრების შესახებ, გასაყიდი სახელმწიფო ქონებისა თუ სხვა ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირებს საჭირო ცნობების მიღება სწორედ აქ შეუძლიათ.

იქნებ ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ მსოფლიო ბანკის წლევანდელი მონაცემებით, **ბიზნესის წარმოების პროცედურების სიმარტივით, ჯერ კიდევ არსებული არაერთი ხარვეზის მიუხედავად, საქართველო მსოფლიოს 180-ზე მეტ ქვეყანას შორის მეთხუთმეტე ადგილზეა.** ამასთან დაკავშირებით სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნულმა ცენტრმა, უწინარესად, ბიუროკრატიას უნდა გადაუღობოს გზა, რაც, არსებითად, „ერთი ფანჯრის“ მოქმედების პრინციპს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ წლის დამლევამდე ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის დახმარებით, ლიცენზიის მისაღებად შესატანი განაცხადის, რაც საჯარო მომსახურების დროულად გასაწევად არის საჭირო, აღრიცხვის ახალ ბარათს შეიმუშავებს. გარდა ამისა, შესაბამისი წვრთნები ჩაუტარდება მუშა პერსონალს. სამინისტროში დარწმუნებულნი არიან, რომ აღნიშნული ხელს შეუწყობს ხშირად განმეორებად შეკითხვებზე პასუხის დროულად გაცემასა და სტანდარტულ ვითარებებში ასევე დაუყოვნებლად გარკვევას.

საგულისხმოა ისიც, რომ ბრიუსელის დონორთა კონფერენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს სამეურნეო და საბანკო სექტორებისთვის ხელშესაწყობად, შარშანდლიდან მოყოლებული 2010 წლის ჩათვლით, 350-მილიონიან სესხს გამოყოფენ, რაც კერძო სექტორს მოხმარდება. საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებით თბილისში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ოფისი გაიხსნა.

**ოთარ ტურაბელიძე.**

ინფორმაცია

## უკრაინელი მანქურთების ოცნება

**ვიქტორ იუშჩენკოს მოწინააღმდეგე ვიქტორ იანუკოვიჩის რეგიონების პარტიის წევრი ანატოლი ტოლსტოუხოვი აცხადებს, რომ უკრაინამ საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ შესაძლოა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.**

**„ძალიან სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ ისეთი ქვეყნები როგორიცაა ვენესუელა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მიმდინარეობდეს. ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, უკრაინა იტყვის თავის წონად სიტყვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში,“ — აცხადებს ტოლსტოუხოვი.**

**შეგახსენებთ, რომ რეგიონების პარტიის ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინამ უნდა მიიღოს აფხაზი და ოსი ხალხის ნება და უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.**

**უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები 2010 წლის 17 იანვარსაა დანიშნული.**

## აფხაზები სამგზავრო ავტობუსს დაესხნენ თავს

**გალში ქართველები დააკავეს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა სოფელ თაგილონში მოხდა. სეპარატისტები სამგზავრო ავტობუსს დაესხნენ თავს.**

**მგზავრები გაძარცვული და ნაცემები არიან. ავტობუსის მძღოლი გოგიტა სოტკილავა და ერთი მგზავრი შაქრო ცაავა გალიდან სოხუმში გადაიყვანეს.**

**მათი დაკავების მიზეზი რუსული პასპორტების არქონაა.**

## გაუიაფეთ გაზი კოკოითს!

**ოს სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა და მისივე მარიონეტული მთავრობის ე.წ. პრემიერ-მინისტრმა ვადიმ ბროვცევმა მოსკოვში „გაზპრომის“ სათაო ოფისი მოინახულეს. იქ მათ „გაზპრომის„ მმართველს „ღირსების ორდენი„ გადასცეს და გაზის საფასურის დაკლება სთხოვეს.**

**გაზეთი „ვრემია ნოვოსტეი“ აღნიშნავს, რომ მაშინ, როდესაც გაზსადენი „ძუარიკაუ ცხინვალი„ ექსპლუატაციაში შევიდა და სამხრეთ ოსეთმა რუსული გაზის მიღება დაიწყო, ცხინვალში იმედოვნებდნენ, რომ გაზის საფასური სამხრეთ ოსეთისათვის შეღავათიანი იქნებოდა. მეტიც, მაშინვე გაკეთდა განცხადება იმის შესახებ, რომ შეღავათიანი ტარიფის შესახებ შეთანხმება უკვე მიღწეულია.**

**ბროვცევის თქმით, მოლაპარაკებები იმის შესახებ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში გაზის საფასური ისეთივე იყოს, როგორიც მთელს რუსეთში ამჟამადაც მიმდინარეობს. ბროვცევი ასევე აცხადებს, რომ ეს ასეც უნდა იყოს, იმიტომ რომ სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთა 97 % რუსეთის მოქალაქეა. აღსანიშნავია, რომ „გაზპრომში„ ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

თანამედროვე

# კარგი მაგალითი მომავალი თაობებისთვის

(მესამე გვერდიდან)

და აი, მე სასტუმრო „ტალიონ იმპერიალის" ატრიუმში ვიმყოფები. აქ გამოფენილია შესანიშნავი გამოცემები, რომლებიც პრემიაზე იყო წარდგენილი. დარბაზში გროვდებიან ლაურეატები და სტუმრები, რუსეთის თვალსაჩინო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. მათ შორისაა რუსეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვალერი განიჩევი. ქართულ სახეებსაც ვხედავ. შემთხვევას არ ვუშვებ ხელიდან და ვცდილობ გავესაუბრო თითოეულ მათგანს. მალე ყველას გვეპატიჟებიან დარბაზში, სადაც დაჯილდოების ცერემონია უნდა შედგეს.

პირველი პრემია მიენიჭა გამოჩენილ რუს ისტორიკოსს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს ანდრეი ნიკოლოზის ძე სახაროვს. წიგნში „რუსეთისთვის თავდადებულნი", რომლის თანაავტორები არიან ვლადისლავ ნაზაროვი და ალექსანდრე ბოხანოვი, ოცდაათი ისტორიული ნარკვევია შესული. თითოეული მათგანი ქმნის პორტრეტს პიროვნებისა, რომელმაც ზეგავლენა იქონია რუსეთის ისტორიის მსვლელობაზე. მეორე პრემია მიიღო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ვლადიმერ ვოროპაევმა წიგნისთვის „ნიკოლოზ გოგოლი: სულიერი ბიოგრაფიის გამოცდილება". მესამე პრემია გადაეცა ბელგოროდის ოლქის დუმის თავმჯდომარეს ანატოლი ზელიკოვს წიგნისთვის „ჩვენი მეხსიერების ნებით...", რომელშიც მკითხველი ეცნობა ბელგოროდჩინის კრებით სახეს.

გავიგე, რომ ჩემი მეგობარი ტყუილად არ ჩამოსულა თავისი თანამემამულეების მხარდასაჭერად. სამუზეუმო მემორიალური პროექტების კონკურსში პირველი პრემია მიენიჭა პროექტს „როგორი უნდა იყო ადამიანი", რომელიც სოფელ სროსტკის შუკშინის მემორიალური მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა შექმნეს. მეორე პრემია მიიღო ექსპოზიციამ „სტუმრად მოძღვართან — მამა იოანე კრონშტადტელი", რომელიც შეიქმნა ქალაქ კრონშტადტში, წმინდა მამის, მართალი იოანე კრონშტადტელის სახლ-მუზეუმში. მესამე პრემია გადაეცა პროექტს „გეპატიჟებით, ახლოს გაეცნოთ თქვენს მიწიერ ვალს და მოვალეობებს", რომელიც წარმოადგინა ნიკოლოზ გოგოლის პირველმა მუზეუმმა რუსეთში, რომელიც მოსკოვში გაიხსნა ა. წ. მარტში, დიდი რუსი მწერლის დაბადებიდან 200 წლის იუბილეზე.

პრემიის მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ებრალიძემ აღნიშნა: „გასული წელი ძალზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის; მან შეაჯამა ჩვენი ხუთი წლის ინტენსიური მუშაობა. ამ წლების განმავლობაში ჩვენ ვცდილობდით, საზოგადოებისთვის გვეცნობებინა ჩვენი მოსაზრება: ისტორიას ადამიანები ქმნიან; ისტორიის გაკვეთილების ყურადღებიანი და აზრიანი შესწავლა ქმნის იმ ცოდნას, რომელიც იძლევა სწორი დასკვნების გაკეთებისა და მრავალი შესაძლო შეცდომის თავიდან აცილების საშუალებას. და დღეს ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ პრემია წარმატებით ასრულებს მისთვის დაკისრებულ მისიას".



ალექსანდრე ებრალიძე და სამუზეუმო პროექტის მე-2 პრემიის ლაურეატი, დეკანოზი გენადი (ბელოვოლოვი)

მეგობარს ვთხოვე, გაეცნო ჩემთვის ალექსანდრე ებრალიძე. იგი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა; ხალისით მიამბო პრემიის დაარსების ისტორია. მისგან გავიგე, რომ ღია სააქციო საზოგადოება „ტალიონის" დახმარებით ახლახან გამოვიდა ევგენი ანისიმოვის წიგნი „ბაგრატიონი", რომელიც ქართულ ენაზედაც ითარგმნება. მან ასევე გამაცნო თავისი იდეა საქართველოში ისტორიულ-ლიტერატურული პრემია „დავით აღმაშენებლის" დაარსების თაობაზე. ბატონ ალექსანდრეს მიაჩნია, რომ ასეთი პრემია ხელს შეუწყობს საზოგადოების სულიერების განვითარებას და პატრიოტიზმის გაღვივებას, ვინაიდან ქართველ გმირთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებითაც ესოდენ მდიდარია საქართველო, კარგი მაგალითი იქნება დღევანდელი და მომავალი თაობების აღზრდისათვის.

**მე ყურადღებით ვუსმენდი მას და დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანი, რომელიც პეტერბურგელებს რუსეთის ღირსეულ მოქალაქედ მიაჩნიათ, სულის სიღრმეში ნამდვილი ქართველია, უყვარს თავისი სამშობლო, გული შესტკივა მისთვის და სურს საკუთარი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში.**

**დავით მაისურაძე,**
**პროფესორი**

დემოგრაფია

***მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, რომელიც ჩატარდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, საქართველოში 3 668 სოფელი აღირიცხა. 3050 სოფელში ეროვნებით ქართველი მოსახლეობა ჭარბობდა; 171 სოფელში — აზერბაიჯანელი მოსახლეობა; 139-ში — სომეხი; 103-ში — ოსი; 26-ში — ბერძენი; 8-ში ქისტი; 3-ში — რუსი; 4-ში ავარელი და ა.შ. სოფლის მუდმივმა მოსახლეობამ 2 087 ათასი კაცი შეადგინა, ანუ ორი უკანასკნელი აღწერათშორის პერიოდში (1989-2002 წლებში) 323 ათასი კაცით შემცირდა. მიუხედავად ამისა, სოფელთან შედარებით ქალაქად უფრო ინტენსიური შიდა მიგრაციული პროცესების გამო, აღნიშნულ პერიოდში სოფლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 44,6 პროცენტიდან 47,7 პროცენტამდე გაიზარდა.***

# ქართული სოფელი კვდება!

მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით 5000 კაცზე მეტი 28 სოფელში ცხოვრობდა, მათ შორის: პირველ ადგილზეა მარნეულის რაიონის სოფელი სადახლო — 9 486 კაცი; მეორე ადგილი უკავია მცხეთის რაიონის სოფელ დიღომს — 8746; მესამე — თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალას — 8270 კაცი და ა.შ.

ამჟამად საქართველოში ბევრი სოფელი გაუკაცრიელდა — გაცივდა უკანასკნელი კერა. დაცარიელებული სოფლები კი უფრო საშიში სანახაობაა, ვიდრე უდაბნო. აკი დიდი ვაჟაც გულისტკივილით აღნიშნავდა: „რა საშინელი, შემაძრწუნებელი სიტყვაა „ნასოფლარი". 2002 წლის აღწერის მიხედვით 162 სოფელში უკვე მოსახლეობა აღარ ცხოვრობს. 10 კაცი და ნაკლები მოსახლეობაა 152 სოფელში. ხოლო 905 სოფელში ანუ ქვეყანაში არსებული სოფლების 25 პროცენტში 100 კაცამდე ცხოვრობს. ბევრ სოფელში, სადაც ადრე ასობით კაცი ცხოვრობდა, ათიოდე კაციღა დარჩა, ზოგან კი — ორი-სამი. განსაკუთრებით შემცირდა მოსახლეობა საქართველოს ისტორიულ კუთხეებში — რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში. მაგალითად, **მოსახლეობის საგანგაშო კლებას აქვს ადგილი რაჭაში, სადაც 1939 წელს 67 ათასი, ხოლო 2008 წელს 23,6 ათასი კაცი ცხოვრობდა. ასე რომ, მარტოოდენ მამაპაპური კერის სიყვარულის ლიტონი ქადაგება მოსახლეობის ბარისაკენ ლტოლვას ვერ შეანელებს, თუ მთაში ხელისუფლებამ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სპეციალური ღონისძიებები არ განახორციელა.** მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან გაუკაცრიელებული ქართული სოფლების დაკავების არაერთ მცდელობას ჰქონია ადგილი. ამიტომ საჭიროა საქართველოს მთიანეთის სამეურნეო ათვისების რეალური პროგრამის შემუშავება და არა „მამაცური ფრაზების ბავშვურად სროლა".

მდგომარეობა, მართლაც, საგანგაშოა. ის, რომ 152 სოფელში 10 კაცამდე ცხოვრობს, ან თუნდაც ყოველ მეოთხე სოფელში (905 სოფელი) 100 კაცამდე ცხოვრობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სოფლებში ძირითადად მოხუცებია დარჩენილი უგზოობის, უშუქობის და ყოველგვარი ინფრასტრუქტურის გარეშე, რომლებიც უიმედოდ ითვლიან თავიანთი ცხოვრების დარჩენილ დღეებს.

ყოველივე ზემონათქვამი არა მარტო ჩვენი თანამემამულეების გაუსაძლის პირობებში ცხოვრების დიდი ტრაგედიაა, არამედ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით უმძიმესი პრობლემაა. ფაქტობრივად, ჩვენი ჩრდილოეთის საზღვარი მოფარლალავებულია. რაჭასა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში 40 ათასი კაციც არ ცხოვრობს და ისინიც ფაქტობრივად მოხუცებია. ჩრდილოეთის საზღვართან მდებარე სოფლები ან გაუკაცრიელებულია ან ამ სოფლებში თითოოროლა კაცი თუ ცხოვრობს. **მაგალითად, პირიქითა ხევსურეთის სოფელ ახიელში 1886 წელს 241 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად მხოლოდ 6 კაცი ცხოვრობს, ამღაში ეს მაჩვენებელი შესაბამისად 194 და 31 კაცს უდრის, ხოლო ჭიმღაში — 72 და 5 კაცს. ანალოგიური ვითარებაა სხვა სოფლებშიც. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას სოფელ ჩარგალში 1886 წელს 347 კაცი ცხოვრობდა, ამჟამად იქ 100 კაცი ცხოვრობს, სოფელ შუაფხოს მოსახლეობის რაოდენობა ამავე პერიოდში 215 კაციდან 38 კაცამდე შემცირდა, სოფელ მათურაში — 276 კაციდან 3 კაცამდე და ა.შ.**



უახლოეს პერსპექტივაში მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებების შედეგად საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები საგრძნობლად გაუარესდება. ამჟამად სოფლად გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე ქალაქად, მაშინ, როდესაც ადრე პირუკუ მოვლენას ჰქონდა ადგილი. მაგალითად, 1970 წელს საქართველოში 90 207 ბავშვი დაიბადა, აქედან ქალაქად 42 781 და სოფლად 747 426 ბავშვი, ანუ სოფლად დაბადებული ბავშვები მთლიანად ქვეყანაში დაბადებული ბავშვების 52,6 პროცენტს შეადგენდა. 2008 წელს საქართველოში 56 565 ბავშვი დაიბადა, აქედან ქალაქად 39 206 ბავშვი (69,3 პროცენტი) და სოფლად მხოლოდ 17 359 ბავშვი (30,7 პროცენტი). ამავე პერიოდში, კერძოდ, 1970 წელს მხოლოდ თბილისში დაბადებული ბავშვები მთლიანად ქვეყანაში დაბადებული ბავშვების 17,9 პროცენტს უდრიდა, ხოლო 2008 წელს — 26,7 პროცენტს. შესაბამისად შობადობის კოეფიციენტები გაცილებით უკეთესია ქალაქად, ვიდრე სოფლად.

კერძოდ, 2008 წელს მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ქალაქად 17,0 ბავშვი დაიბადა, მაშინ როდესაც სოფლად ყოველ 1000 კაცზე მხოლოდ 8,4 ახალშობილი მოევლინა ქვეყანას.

აღნიშნულ მოვლენაზე რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება. გაუსაძლისი ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში უაღრესად ინტენსიური გახდა არა მარტო გარემიგრაციული, არამედ შიდამიგრაციული პროცესებიც. სოფლის მოსახლეობა მაინც უპირატესად შიდამიგრაციულ პროცესშია ჩართული. 2002 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით წინა 9 წლის განმავლობაში 437 232 პირმა შეიცვალა ქვეყანაში საცხოვრებელი ადგილი. ადამიანთა უმეტესობა საცხოვრებელ ადგილს იცვლიდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით. ამ აბურდულ ცხოვრებაში, ალბათ, ბევრს არც გაუმართლდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მილიონზე მეტმა ადამიანმა საქართველო დატოვა და სხვა ქვეყნებში წავიდა ბედის საძებნელად, მაშინ მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის თითქმის მესამედმა გარე (საერთაშორისო) და შიდა მიგრაციაში მიიღო მონაწილეობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის 2002 წლის აღწერით 9 წელიწადში ქვეყნის შიდა მიგრაციამ, ძირითადად სოფლიდან ქალაქად, 437 ათასი კაცი შეადგინა და აქედან 423 ათასი კაცი (96,8 პროცენტი) ქართველი იყო. ამრიგად, თითქმის მთლიანად ქართველი მოსახლეობისაგან იცლება სოფლები. აღნიშნულ 9 წელიწადში საქართველოში საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა მხოლოდ 4309 აზერბაიჯანელმა (შიდა მიგრაციაში მონაწილე მოსახლეობის მხოლოდ 1,0 პროცენტმა) და 3967 სომეხმა (0,9 პროცენტმა).

სოფლიდან ქალაქად მიგრირებულთა უმეტესობა ახალგაზრდა, ფერტილურ პერიოდში მყოფი ქალები არიან. დემოგრაფიაში ფერტილური პერიოდის დასაწყისად მიჩნეულია 15 წელი, ხოლო დასასრულად — 49 წელი. ამრიგად, ფერტილური პერიოდი შეადგენს საშუალოდ 35 წელს. 15-49 წლების ასაკში მყოფი ქალების რაოდენობა აღწერის მიხედვით 2002 წელს ქალაქად 654 ათას, ხოლო სოფლად — 506 ათას ქალს უდრიდა. ამრიგად, ფერტილურ ასაკში ქალაქად, სოფელთან შედარებით, 148 ათასი ქალით მეტია. ამასთან, ბავშვთა შობის (შვილიერების) ყველაზე უფრო ხელსაყრელი ასაკია 20-29 წლები. დაბადებულ ბავშვთა 60-70 პროცენტი ამ ასაკის ქალებზე მოდის.

**ანზორ თოთაძე.**

**(დასასრული იქნება)**

საქმემან შენმან

***როგორ დანიშნეს კათოლიკოს-პატრიარქის შვილიშვილი ცეკას მდივნად...***

***როგორ „მოანადირებინა“ დათვი საკავშირო მინისტრს...***

***როგორ „ითხოვა“ 200-ადგილიანი თვითმფრინავი 4 კაცისთვის...***

***როგორ „ცვიოდა“ მთის ბროლები ზეციდან...***

***როგორ შეეწირა დიდ პრივატიზაციას საბჭოთა სივრცეში მქუხარე „სამთო ქიმია“...***

***როგორ ატარებს ჯიბით უკვე 62 წელია საყვარელი ქალის ფოტოს...***

***ამ და კიდევ არაერთ საინტერესო ამბავს შეიტყობთ ინტერვიუდან ბატონ ნიკოლოზ ცხაკაიასთან.***

# უკან მოხედვისა არასოდეს შერცხვენია

## ნიკოლოზ ცხაკაია: „მდიდრები სიყვარულით ვართ!..“

ნიკოლოზ ცხაკაია, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი – პროფესიით ინჟინერ-მექანიკოსია, სხვადასხვა დროს მუშაობდა კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში, იყო თბილისის საავიაციო ქარხნის პარტკომი, კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ცეკას მდივანი, საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ გენერალური დირექტორი. ამჟამად ხელმძღვანელობს გაერთიანებას „ახალი მასალები და ტექნოლოგიები“...

22 სექტემბერს 80 წლის ხდება. ახლაც დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებს. წლების სიმრავლეს ახალგაზრდული ენერგიით ჯაბნის. **„ხანდახან ვფიქრობ, უნდა გაიხედო თუ არა წარსულისკენ. დიახ, უნდა გაიხედო, რათა მაქსიმალურად გამოიყენო განვლილი გზა ისევ და ისევ შენი ქვეყნის მომავლის ასაშენებლად“,** – ამბობს ბატონი ნიკა. ეს არც პათეტიკა გახლავთ და არც ერთ დროს პარტიული ფუნქციონერის „ძველმოდური“ პატრიოტიზმი. ნიკოლოზ ცხაკაია მთელი ცხოვრება ცდილობდა პარტიულ ნიღაბს მორგებულს ეკეთებინა საქვეყნო საქმე. თუმცა, უმჯობესია, სიტყვა იუბილარს მივცეთ:

– რომ მეკითხებიან, შენი ჰობი რა არისო, – ასპარეზი-მეთქი, ვპასუხობ. გული მწყდება, რომ ქვეყანაში უშნოდ ჩატარებულმა პრივატიზაციამ სამთო-ქიმიური მრეწველობა ძირფესვიანად მოსპო. ჩვენი საწარმოები ყოველწლიურად 100 მლნ დოლარის 53 დასახელების პროდუქციას უშვებდნენ. ეს გახლდათ ზესუფთა მეტალური დარიშხანი ელექტრონიკისთვის, მონოკრისტალები ლაზერული ტექნიკისთვის, ბარიტის, კალციტის პროდუქცია, მიკრობარიტი, ბენტონიტები საავტომობილო, სამთო და საყოფაცხოვრებო მრეწველობისთვის... და ეს ყველაფერი ნულოვან აუქციონზე გაიყიდა ყოველგვარი პირობის გარეშე. მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, არავის უზრუნია წარმოებათა შემდგომ ფუნქციონირებაზე. შედეგად უძვირფასესი დანადგარები ჯართად გაიყიდა.

**– და, ალბათ, უამრავი ხალხიც უმუშევარი დარჩა...**

– ასეა! მარტო რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში, ამბროლაურის რაიონის სოფელ ურავში ათასზე მეტმა კაცმა დაკარგა სამსახური. კიდევ სამას კაცზე მეტი ჩვენ მიერვე ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის აშენებულ სკოლაში, საბავშვო ბაღში, სასადილოში, სპორტდარბაზში, სათბურში, პოლიკლინიკაში, საავადმყოფოში და კულტურის სახლში მუშაობდა. ქარხანას ეს ობიექტები მიყვა და გაპარტახდა... კაცმა არ იცის, სად გარა 40 ტონა ტიტანი, 400 კგ პლატინა, 4 ცალი 500-კილოვატიანი დიზელ-გენერატორი, მონოკრისტალების ზრდის ძვირადღირებული დანადგარები...

**– მაგრამ ცოტა რამ მაინც ხომ დარჩა...**

– წარმოებებიდან ბევრი არაფერი! ერთი, რაც იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ რაღაც გამიკეთებია, ის არის, რომ გაერთიანების თანამშრომელთა უმეტესობა, თითქმის 6 ათასი ოჯახი საქართველოს ლამის ყველა რეგიონში, ჩვენ მიერ მათთვის უფასოდ აშენებულ ბინებში ცხოვრობს...

**– ძველ პრესას ვათვალიერებდი და ერთგან ისიც წავიკითხე, „სამთო ქიმიაში“ პირდაპირ ზეციდან „ცვივა“ მთის ბროლებიო...**

– ასე იყო... „სამთო ქიმია“ საკავშირო დაქვემდებარების ობიექტი გახლდათ და ხშირად ვიმარჯვებდით საკავშირო შეჯიბრებებში, რასაც სოლიდური პრემიები და სოციალური განვითარებისთვის განკუთვნილი თანხები მოყვებოდა მოსკოვიდან. ასე ვაშენებდით დასასვენებელ ბაზებს ურეკში, შოვში, ბაკურიანში, სასტუმროებს – ქუთაისში, თბილისში; კულტურის სახლებს, კლუბებს, საბავშვო ბაღებს, პოლიკლინიკებს, სპორტულ დარბაზებს, მოედნებს... ქართველ ბავშვებს ტანძიასა და პლასტუნკაში (სოჭთან ახლოს) სკოლებიც ავუშენეთ. სოციალური ობიექტების უმეტესობას „მთის ბროლი“ ერქვა. რადგან ფული მოსკოვიდან მოგვქონდა, ბევრი თვლიდა, რომ „მთის ბროლები“ ციდან ცვიოდა... მაგრამ ასე კი არ იყო, ხშირად თავგანწირული შრომის ფასად მოდიოდა წარმატება. სვანეთში, ყორულდაშში გვქონდა დარიშხანის საბადო 3200 მეტრზე. მხოლოდ ზაფხულში ვმუშაობდით იქ. მაღარომდე მისვლას 6 საათს ვუნდებოდით. მარჯვნივ უფსკრული იყო, მარცხნივ – კლდე. ერთმანეთზე გადაბმულები ავდიოდით მაღაროში. სახედრებს ავკიდებდით დარიშხანს და...

**– და მაინც... როგორ მოგქონდათ ფული რუსეთიდან?**

– (იღიმება) გითხრათ? კი ბატონო, თავიდან დავიწყოთ. როცა ცეკას მდივანი ვიყავი, წულუკიძეში (ახლანდელი ხონი) ავაშენეთ პოლიეთილენის ფაბრიკა, დაზგა-დანადგარები კი არ გვქონდა. ვიცოდი, იმ დროს გაგრაში დასასვენებლად ჩამოვიდა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი ლეონიდ კოსტანდოვი. ცეკას პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძეს ვუთხარი, გაგრაში გამიშვით-მეთქი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, მოვკიდე კოსტანდოვს ხელი და მთელი დასავლეთ საქართველო მოვატარე. ვიყავით რიწის ტბაზე, ახალ ათონში, რაჭაში... გამიმხილა, ნადირობა მიყვარსო და... რაჭველებმა დაიჭირეს დათვის მოზრდილი ბელი, „უხილავი“ თოკით დააბეს და მინისტრი სანადიროდ წავიყვანეთ. ნეტა გენახათ, როგორ გაიხარა, როცა დათვი „მოინადირა“ (ეს საიდუმლო მისთვის არ გამიმხელია!). ასე ჩამოვიტანე სასურველი ბრძანება და მინისტრიც დავიმეგობრე! როცა „სამთო ქიმიაში“ გადმოვედი, ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. მეტიც, დროდადრო დამირეკავდა, რომ ვთქვათ, შაბათს დილით ხაში ექნებოდა (მთელი ღამე ხარშავდა თვითონვე, არაჩვეულებრივად ამზადებდა). მეც მივფრინავდი და „დასაყოლებელი“ მიმქონდა... რაღა თქმა უნდა, ცეცხლივით კახური ჭაჭაც...

სამინისტროს აპარატში ხომ იცით, არაფერი დაიფარება. რომ გაიგეს, მინისტრთან ვმეგობრობდი, ჩემთვის მინისტრის მოადგილეებისა და ყველა განყოფილების უფროსის კარი ღია იყო. მეც მომქონდა მოსკოვიდან საქართველოში უამრავი მანქანა-დანადგარი, დაზგები, მოწინავე მუშაკებზე გასანაწილებელი მსუბუქი ავტომანქანები და, რაც მთავარია, დაფინანსება წარმოების განვითარებისთვის, ბინათმშენებლობისათვის...

**– ერთხელ ბინათმშენებლობისთვის რამდენიმე მილიონი მანეთი ჩამოგიტანიათ...**

– ასეთი რამ ხშირად ხდებოდა. თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ჩვენს სამთო-ქიმიურ საწარმოებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მაშინდელი საბჭოთა კავშირის დარგობრივი მრეწველობის განვითარებაში. როგორც გითხარით, მინისტრის მოადგილეებთანაც ვმეგობრობდი. ერთხელაც, მირეკავს მინისტრის მოადგილე კაპიტალური მშენებლობის დარგში ივან ზახარიჩ რეზნიჩენკო და მეუბნება, რუსთავში ვარ ჩამოსული და ერთი თავისუფალი დღე მაქვსო. დაემთხვა ისე, რომ იმ დროს თბილისში სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვის საავიაციო ქარხნის დირექტორი თავისი თვითმფრინავით ილ-62-ით (200-ადგილიანი იყო, 12-კაციანი ეკიპაჟით). მასთან თბილისის საავიაციო ქარხანაში მუშაობის წლები მაკავშირებდა და გაბედულად დავურეკე, თვითმფრინავი „მათხოვე“-მეთქი. ჩავსვი ზახარიჩი თვითმფრინავში და გავფრინდით მაშინდელ ცხაკაიაში. სულ ოთხი კაცი ვიყავით ეკიპაჟის გარდა. სამხედრო აეროდრომში ნამდვილი სამეფო შეხვედრა მოგვიწყვეს ორკესტრის, ხალიჩების, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭებისა და... რაიკომის მდივნის თანხლებით. მოვიარეთ არაჩვეულებრივი სანახები. მერე ზღვისკენ გაგვიწია გულმა. ჩავსვით კატარღაში საპატიო სტუმარი, ვაქეიფეთ შუა ზღვაში, ურეკშიც ვაბანავეთ... დავუტვირთეთ თვითმფრინავი ქართული ნობათით და... სხვათა შორის, სამინისტროს მაშინ მილიარდ მანეთზე მეტი ჰქონდა ბიუჯეტში საკავშირო მშენებლობებისთვის.

**– როგორ გახდით საქართველოს ცეკას მდივანი?**

– პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ვიყავი. მოსკოვში მორიგი პარტიული ღონისძიება ტარდებოდა და ვასილ მჟავანაძეც იქ გახლდათ. დამიძახა და პირდაპირ მითხრა, ცეკას მდივნად უნდა დაგნიშნოთო. ეგ საქმე არ გამოვა, ვასილ პავლოვიჩ-მეთქი. გაუკვირდა, როგორ თუ არ გამოვაო?! ავუხსენი, რომ ვარ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქრისტეფორე III-ს (ციცქიშვილის) შვილიშვილი. ეკლესიას ვეხმარები, ბაბუაჩემისადმი მიძღვნილ საეკლესიო რიტუალებს ვასრულებ და საერთოდ ახლოს ვარ ეკლესიასთან და საეკლესიო მოღვაწეებთან-მეთქი. ცეკას პირველმა მდივანმა დაწვრილებით მაამბობინა ბაბუაჩემის შესახებ (მოგეხსენებათ, იგი 1927-1933 წლებში საქართველოს სულიერი მწყემსმთავარი გახლდათ, მანამდე ორი წელი აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო). მერე მოულოდნელად გადამკოცნა, კარგი ბიჭი ხარო, მითხრა და... საკავშირო ცენტრალურ კომიტეტში გამიშვა დასამტკიცებლად...

**– თქვენი ცეკას მდივნობისდროინდელ „ზღაპრებსაც“ ყვებიან...**

– ასეთი შემთხვევა მახსენდება: ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა, უფრო სწორად, ჩხუბით შემოაღწია ჩემამდე, – სამი წელია, ტელეფონის რიგში პირველი ვარ და დღემდე არ მაღირსეს ქსელში ჩართვაო. – დამშვიდდით, მალე ტელეფონი გექნებათ-მეთქი. – როგორ არა, დაგიჯერეთ, შინ მივალ და ტელეფონი ჩართული დამხვდება!.. თქვენც სხვებივით მაგიჟებთ დაპირებებითო! – წაბრძანდით და ტელეფონი მართლა დაგხვდებათ ჩართული, კაცურ სიტყვას გაძლევთ-მეთქი და გავისტუმრე განცვიფრებული, თან ჩემი ნომერი მივეცი, შინ მიხვალ თუ არა, დამირეკე-მეთქი!..

**– როგორ, ერთ საათში გასული საუკუნის 70-იან წლებში ტელეფონი დაუდგით?**

– ასე იყო... ალბათ იმას აღარ მკითხავთ, რომ დარეკა, რა მითხრა...

**– დიდი ბაბუა თუ გახსოვთ?**

– არა, თუმცა მას მოვუნათლივარ. შვიდი შვილი ჰყოლია, შვილებისთვის ენციკლოპედიური განათლება მიუცია. ერთ-ერთი ბიძა, გოზრონ ციცქიშვილი 14 ენას ფლობდა. დედაჩემი მედიკოსი იყო და ამავდროულად რუსული და გერმანული ენებიდან თარგმნიდა. მამა, შიო ცხაკაია ოჩამჩირიდან იყო, იურისტი, კარგი ბუღალტერიც. ერთდროულად მუშაობდა მაშინდელი ყველა ქართული თეატრის მთავარ ბუღალტრად. ბავშვობაში მთელი ღამეები მამაჩემის „ჩოთქის“ ჩხაკუნში მეძინა...

**– დიდი და მდიდარი ოჯახი გქონიათ...**

– სიმდიდრისა რა მოგახსენოთ. მდიდრები სიყვარულით ვართ. ეს ჩემი მეუღლეა, ლეილა მამულაშვილი-ცხაკაია (და ჯიბიდან გახუნებულ ფოტოს იღებს, რომელსაც აგერ უკვე 62 წელია სულ თან ატარებს. – ე.ს.). ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, როცა „გავიპარეთ“. დიპლომები რომ ავიღეთ, ნანა და ირაკლი უკვე გვყავდა. მათ სტუდენტების შვილებს ვეძახით, აი, მესამე – რუსუდანი კი ცეკას მდივნის შვილია! კარგი შვილები და შვილიშვილები მყავს, შვილთაშვილებიც... ნანა პროფესორია, პულმონოლოგი. ირაკლი აშშ-ში, აიოვას შტატში ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის წამყვანი მენეჯერია.



შვილთაშვილ ქეთევან კუკულაძესთან

**– თქვენს სეხნიაზე რას იტყვით?**

– ჩემი შვილიშვილი, უმცროსი ნიკოლოზ ცხაკაია აიოვას უნივერსიტეტს ამთავრებს. კომპიუტერული ტექნოლოგიებითაა გატაცებული. მიხარია, რომ საქართველოში აპირებს ცხოვრებას და როგორც ძმაკაცს, გულიც გადამიშალა, – ქართველი გოგო უნდა შევირთოო...

**– თქვენს ქველმოქმედებაზე ახლაც ლაპარაკობენ.**

– როგორც შემეძლო, ვცდილობდი სასიკეთო საქმეები მეკეთებინა. ისე, კათოლიკოს-პატრიარქის შვილიშვილი რომ ეკლესიას აღადგენს, ეს ქველმოქმედება კი არა, მოვალეობაა. სურამშიც აღვადგინე პატარა ტაძარი, ხოლო თბილისში – ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია. 9 აპრილს დაღუპული ეკა ბეჟანიშვილის დედა (ისიც 9 აპრილს დასახიჩრდა) გერმანიაში გავგზავნეთ სამკურნალოდ. ამგვარი დახმარება არაერთისთვის გაგვიწევია.

**– როგორც ვიცი, ახლაც საინტერესო გეგმები გაქვთ...**

– მართალია სამთო ქიმია, როგორც დარგი, დაკნინდა და განადგურდა, მაგრამ ჩვენ შევქმენით გაერთიანება „ახალი მასალები და ტექნოლოგიები“. ვუშვებთ სრულიად ახალ პროდუქციას საქართველოსთვის. ეს არის ანტიკოროზიული და ანტიბაქტერიული საღებავი, რომლითაც მეტალკონსტრუქციების, წყალქვეშა რკინის ნაკეთობების, გემების დაფარვა წლობით ზრდის მათ მედეგობას. აკადემიკოს რაფიელ ჩიქოვანთან ერთად ვმუშაობთ საქართველოში ნანოტექნოლოგიების დანერგვაზე. მაგალითისთვის გეტყვით, აშშ-ში ამ დარგის განვითარებისთვის წელიწადში 9 მლრდ დოლარია გამოყოფილი! ქვეყნისთვის მიკროელექტრონიკის განვითარებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

**– მერე ამით არავინ დაინტერესდა?**

– სამწუხაროდ, ჩვენმა წინადადებებმა მოიარა პრეზიდენტის აპარატი, კანცელარია, ეკონომიკის სამინისტრო... ჯერჯერობით ჩვენთვის ვერავინ მოიცალა.

**– ვთქვათ, პრეზიდენტმა თქვენთვის მოიცალა, რას ეტყოდით?**

– ჯერ ნანოტექნოლოგიების განვითარებისა და სამთო-ქიმიური მრეწველობის აღორძინების აუცილებლობას დავუსაბუთებდი. მერე იმასაც ვეტყოდი, რომ მუშა, მისი როლი, საერთოდ გაქრა ქვეყნის ხელმძღვანელთა თვალთახედვიდან. ისეთი პროფესიონალი კადრებიც აღარავის ახსოვს, რომელთაც ერთ დროს ქვეყნის ბედი ებარათ და საქმესაც კაცურად უძღვებოდნენ...

**– იუბილეს როგორი განწყობით ხვდებით?**

– იუბილე ხმამაღლა ნათქვამია! უბრალოდ, ჩემს დიდ ოჯახთან და მეგობრებთან ერთად კიდევ ერთხელ ვიტყვი ჩემს საყვარელ სადღეგრძელოს: „ეს იმ კაცს გაუმარჯოს, რომელსაც სახლიდან სამსახურში წასვლა უხარია და სამსახურიდან – შინ დაბრუნება. ვისაც ცხოვრების გზა ისე გაუვლია, რომ უკან მოხედვისა არასოდეს შერცხვენია!“ ასეთები კი მერწმუნეთ, არცთუ ისე ცოტაა ჩვენ გვერდით.

...

**ჩვენც გვინდა თქვენი საყვარელი სადღეგრძელო გავიმეოროთ და იუბილე მოგილოცოთ, ბატონო ნიკა!..**

ელენე სალარიძე



საყვარელი მეუღლის ფოტოს 62-ე წელიწადია, ჯიბით ატარებს...



მეუღლესთან და უმცროს ქალიშვილთან ერთად



# კაცი, რომელიც ლეგენდად იქცა...

## ბიძინა მგალობლიშვილი - 90

ბიძინა მგალობლიშვილი აფხაზმა სეპარატისტებმა საკუთარი სახლის პარმაღთან მოკლეს. დაუნდობლად გაიმეტეს ადამიანი, ვინც მთელი ცხოვრება საკუთარი ქალაქის სიყვარულს შეალია. იგი ექიმი-ფსიქიატრი იყო, ადამიანთა სულების მკურნალი. უანგაროდ ეხმარებოდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა — ქართველს, რუსსა თუ აფხაზს...

მაგრამ, იმავდროულად, გულმხურვალე ჰუმანისტი და პოეტი იყო და არ ეგონა, თუ სიკეთის მთესველს „დამფასებლები" ვერაგულად მოუსწრაფავდნენ სიცოცხლეს... ჯვართამაღლების დღეს, 74 წლისას ტყვიას ესროდნენ ღვაწლმოსილ მეცნიერს, სოხუმის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარ ექიმს, აფხაზეთის ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარეს, აფხაზეთის მთავარ ფსიქიატრს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს... საუკეთესო პუბლიცისტს, აფხაზეთის მწერალთა კავშირის წევრს.

მგალობლიშვილთა საამაყო გვარის წარმომადგენელს არ ივიწყებს მშობლიური სოფელი მარანი. ათი წლის წინათ, 80 წლის იუბილეზე მარნის საჯარო სკოლაში ბიძინა მგალობლიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა. მისმა უფროსმა შვილმა — შალვა მგალობლიშვილმა (აღსანიშნავია, რომ ბატონი ბიძინას შვიდივე შვილი პროფესიით ექიმია)ძ მამის ცხედარი სოხუმიდან მშობლიურ სოფელ მარანში გადმოასვენა და იქ, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ, ჯვართამაღლების ეკლესია ააშენა, ხოლო მამაპაპისეულ სახლში კერა არ ჩააქრო.

ბიძინა მგალობლიშვილს 90 წელი შეუსრულდა. მისი ლამაზი სული, ვინ იცის, რომელი ვარსკვლავიდან დაგვყურებს და საქართველოს მომავლისთვის ლოცულობს!..

**ნატა ნიბლაძე**

## ღმერთმა აცხონოს...

ბავშვობიდანვე მის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული მქონდა. მისი სახლი, დიდი ოჯახით — დაუვიწყარი შთაბეჭდილებაა, რაც სოხუმის მოგონებებთან მაკავშირებს.

დიდი პიროვნება იყო: მეცნიერი, ქართული ოჯახის მამა, ჭეშმარიტი სოხუმელი კაცი.

მამაჩემს — ილია ჯოჯუას და ბიძინას ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს.

როგორ გვაკლია ასეთი დინჯი, ეროვნული, ლამაზი ქართველი კაცები.

ღმერთმა დალოცოს მისი სული!

**სერაფიმე,**
ბორჯომის მთავარეპისკოპოსი.

## აფხაზეთს დიდი ქართველი დააკლდა

არიან ადამიანები, რომელთა ნაფეხურები წარუშლელია მათი მონაფეების გონებიდან და ცხოვრებიდან. ასეთად მიმაჩნია ბატონი ბიძინა მგალობლიშვილი. ის კორიფე იყო თავის სპეციალობაში, მთელს აფხაზეთში გავრცელებული იყო გამოთქმა „მგალობლიშვილის პაციენტია", ანუ მთლად დაწყობილი არ გახლავთო.

ბატონი ბიძინა ჩვენ, ბიოლოგებს, ანატომიას გვიკითხავდა. მისი ყოველი ლექცია იყო მოვლენა, რადგან ადამიანის აგებულების გარდა, ბევრ სხვა მოვლენასაც ვეცნობოდით და ვგებულობდით, მაგრამ ყველა ლექცია ან იწყებოდა ან მთავრდებოდა ერთი ლოზუნგით: „ჩვენი ერის გადარჩენა ჩვენს სიმრავლეშია". მისი ურთიერთობა სტუდენტებთან მეგობრული და კოლეგიალური იყო, კითხვა-პასუხს თითქმის ყოველთვის იუმორიც ახლდა.

როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ბატონმა ბიძინამ ანატომიის კურსის წაკითხვა მომანდო, ეს ჩემთვის უდიდესი პატივი იყო.

აფხაზეთს დიდი ქართველი პატრიოტი დააკლდა. სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანები მიდიან, მაგრამ რჩება მათი ხსოვნა და თავგანწირვა, რაც ჩვენც სასოებით აღგვავსებს.

**გია გვაზავა,**
აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

## გმირად დარჩა...

**საპრემიერო ბილეთების განაწილება თეატრს ყოველთვის უჭირს, მით უმეტეს როცა დარბაზი პატარაა.**

თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი ვახტანგ სალაყაია (ღმერთმა გაანათლოს მისი სული!ძ მითანხმებს განაწილების სიას — მთავრობის ადგილებს და პატივსაცემი ხალხისას. მეცხრე რიგში ორი ადგილი თავისუფალი აღმოჩნდა, „ეს ორი ადგილი?" — ვკითხე ბატონ ვახტანგს, — „ეს ორი ადგილი, ცნობილი ფსიქიატრისა და დიდებული მოქალაქის, ბატონი ბიძინა მგალობლიშვილისაა".

ასე შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში შესანიშნავი პიროვნება და საზოგადო მოღვაწე ბატონი ბიძინა.

ყველა ქალაქს თავისი კოლორიტი ჰყავს, ასეთი ადამიანი საკუთარი ცხოვრებით ალამაზებს ქალაქს. ეს მისი განუყოფელი ნაწილია.

ქართულ საქმესთან დაკავშირებული არც ერთი პრემიერა და მოვლენა ბატონ ბიძინას არ გამორჩენია. ხოლო ის ორი ადგილი მისი საკუთრება იყო. აუცილებლად ყვავილებით მოგვილოცავდა სცენაზე მისი შესანიშნავი მეუღლე.

სოხუმში ქართველ ფსიქიატრთა სიმპოზიუმი გაიმართა: ჩვენ, რასაკვირველია, დავუთმეთ დარბაზი. ჩემი კაბინეტის კარი გაიღო, შემობრძანდა ბატონი ბიძინა და შემოუძღვა დიდებულ ადამიანს ავლიპ ზურაბაშვილს. წამოვდექი. უფრო სწორად წამოვვარდი და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი.

ბატონმა ბიძინამ წარმადგინა ბატონ ავლიპთან. ისე დამახასიათა, ახლაც მეუხერხულება გამეორება, ერთს კი ვიტყვი: „ბატონო ავლიპ, თქვენ იმყოფებით ქართულ თეატრში, რომელიც ჩვენი — ქართველი საზოგადოების ციხე-სიმაგრე და ბურჯია, იმედი და მომავალია".

გავიდა დრო: ვათვალიერებ ფოსტას, დავხედე ბარათს, რომელიც ბატონი ავლიპის მადლობის წერილი გამოდგა:

ამ წერილს ძვირფასი განძივით ვინახავდი, მაგრამ სამწუხაროდ, სოხუმში დამრჩა.

აღარ ვლაპარაკობ იმაზე, როგორ პურმარილს გვიშლიდა ქართული თეატრის მუშაკებს, როგორ გვეფერებოდა და პატივისცემას გამოხატავდა, შეუძლებელია ასეთი ადამიანის დავიწყება, ვინც ასე ტრაგიკულად და გმირულად დაასრულა უკვდავი სიცოცხლე.

**გოგი ქავთარაძე**

**P.S. მიხარია, რომ საქართველოში დადის მისი გენის მატარებელი, მისი ვაჟი — შალვა, რომელმაც იცის თავის საქმე, კაცობა, მეგობრობა, ურთიერთობა.**



ფსიქიატრებისა და ნევროპათოლოგების მე-4 საკავშირო ყრილობაზე ქ. ლენინგრადში. 1979 წ.

**სურათზე:** (მარცხნიდან) **ბიძინა მგალობლიშვილი,** აფხაზეთის მთავარი ფსიქიატრი; **ალექსანდრე მაკარიძე,** პროფესორი, ფსიქიატრი; **ბიძინა ნანეიშვილი,** აკადემიკოსი; **საშა ქაჯაია,** სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი; **სერგი წულაძე,** პროფესორი, ფსიქოლოგი.

## ექიმი და მოქალაქე

**ბრძენი, თავგანწირული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები ქმნიდნენ და დღესაც ქმნიან ჩვენი თვითმყოფადობის განახლებულ საფუძვლებს.**

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ცნობილი ფსიქიატრი, პედაგოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ბიძინა მგალობლიშვილი. მისი სიცოცხლე 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს აღესრულა. ამ ძმათამკვლელი ომის მრავალ მსხვერპლთაგან, ბატონი ბიძინა ჭეშმარიტად ტრაგიკული ფიგურაა. მისი სიკვდილი კაცთმოყვარეობის, ჰუმანურობის, ერისკაცობის მედგარი შებრძოლებაა ბოროტების, სიძულვილის, ძალადობის ბრმა სტიქიასთან.

სოხუმის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას, თხოვნაზე, გარიდებოდა სოხუმში იმ დროს არსებულ რთულ ვითარებას, მან მიპასუხა: „მე სოხუმიდან არ წავალ. ჩემი სამშობლო აქ არის. ხელს არ მახლებენ, ექიმი ვარ და კარგის მეტი ხალხისთვის არაფერი გამიკეთებია". მართლაც, ყველა პატივს სცემდა ბიძინა მგალობლიშვილს — განსწავლულ, გამოცდილ, ჭეშმარიტად პროფესიონალ ექიმს, უზადო ინტელიგენტსა და გამორჩეულ მოქალაქეს. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული, არასოდეს არჩევდა მდიდარსა თუ ღარიბს, რუსსა თუ აფხაზს, ჩინოსანსა თუ უჩინოს. ექიმ მგალობლიშვილის მადლიერი ბევრი პაციენტი დადიოდა აფხაზეთში.

ბიძინა მგალობლიშვილს უმნიშვნელოვანესი როლი მიუძღვის აფხაზეთში ფსიქიატრიული დახმარების სამსახურის ჩამოყალიბებასა და სტრუქტურულ ორგანიზაციაში.

მისი ჭეშმარიტი მოქალაქეობა და პატრიოტიზმი, საქართველოსთვის მეტად მძიმე, 80-იან წლებში გამოიკვეთა. აფხაზეთში ეთნიკური კონფლიქტის გაჩაღების პირველი მცდელობებისთანავე გამოჩნდა ბატონი ბიძინას ახალი სახე. საზოგადოებას მოევლინა ბრწყინვალე პუბლიცისტი და ორატორი. თავის გამოსვლებში, ნარკვევებში, სტატიებსა და ლექსებში იგი მოუწოდებდა ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობისაკენ, კონსტრუქციული დიალოგისაკენ. სეპარატისტთა პროვოკაციებსა და აგრესიას ახვედრებდა საღ აზრსა და კაცთმოყვარეობას. დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდებდა, ჩაღრმავებოდნენ კრიზისის მიზეზებსა და სათავეებს, ერთი ხელის დაკვრით არ დაენგრიათ საუკუნეობით ნაშენი ურთიერთობანი.

სექტემბერში მას 90 წელი შეუსრულდებოდა. რამდენი საქმე დარჩა გასაკეთებელი, რამდენი პროექტი განუხორციელებელი... მაგრამ დარჩა მის მიერ განვლილი ცხოვრება, როგორც მაგალითი სამშობლოს უმწიკვლო მსახურებისა, ჭეშმარიტი მამულიშვილობისა და მოქალაქეობისა.

**გიორგი ნანეიშვილი,**
პროფესორი, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე



ბიძინა მგალობლიშვილის დიდი სახლობა

## დიდი თეატრალი

**დიდი პატივისცემითა და მოწიწებით უნდა გავიხსენო გამორჩეული პიროვნება და დიდებული ექიმი, აფხაზეთის მთავარი ფსიქიატრი, 7 შვილის მამა, 18 შვილიშვილისა და 7 შვილთაშვილის ბაბუა, დიდი თეატრალი, ბატონი ბიძინა მგალობლიშვილი.**

თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებულ მოყვარულს სეზონის განმავლობაში, პრემიერებზეც და რიგით წარმოდგენებზეც საკუთარი 2 ადგილი დარბაზში მუდამ ჰქონდა — მე-9 რიგის მე-6-7 სკამები. მეუღლესთან ერთად ესწრებოდა სპექტაკლებს. ცოლის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ბატონმა ბიძინამ კვლავ რეგულარულად დაიწყო თეატრში სიარული. მეუღლის კუთვნილ ადგილზე მუდამ ყვავილები იდო. ასეთი დიდი სიყვარული იცოდა.

მისი უფროსი შვილი — შალვა ბავშვობისდროინდელ საინტერესო ამბავს მომიყვა. ერთხელ, სოხუმში მამასთან ერთად მანქანაში მჯდარა. გარეთ თურმე საშინლად წვიმდა. ბატონმა ბიძინამ ქუჩაში მდგარ შლაპიან კაცს მოჰკრა თვალი, მანქანა გააჩერა, შვილი უკან გადასვა, თვითონ მანქანიდან გადავიდა, შლაპიან მამაკაცს მოწიწებით გაუღო კარი და დაბრძანება სთხოვა. ეს კაცი დიდი გალაკტიონ ტაბიძე აღმოჩნდა. შლაპიდან წყალი წურწურით ჩამოსდიოდა. იყო მასში რაღაც ზეციური, ღვთიური. შემდეგ პატარა შალვა შინ დატოვეს. მას მამა 4 დღე აღარ უნახავს. იგი გალაკტიონთან ერთად იყო.

კიდევ ერთხელ, მოწიწებით პატივს მივაგებთ ამ შესანიშნავი ადამიანის ნათელ ხსოვნას. მიხარია, რომ ბატონ ბიძინას ღირსეული შთამომავლები ჰყავს.

**დიმა ჯაიანი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აი რას იქმს მშვიდობისმყოფელი ჯარი

**აფხაზეთის საქართველოდან პოლიტიკურმა გამოყოფამ გამოიწვია საეკლესიო განხეთქილებაც – აფხაზმა მღვდელმსახურებმა გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან.** ამ დროს რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც, რომლის პოზიციაც საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტში გამოირჩეოდა კრემლის პოზიციისგან. მოსკოვის საპატრიარქოს არაერთხელ განუცხადებია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური საზღვრების უცვლელობის შესახებ, ვინაიდან საქართველოს ეკლესია დღემდე არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი მოკავშირე უკრაინის გამოთიშველებთან ბრძოლაში.

როგორც საქართველოს ეკლესიის სოხუმ-აფხაზეთის ყოფილი ეპარქიის მმართველმა ბესარიონ აპლიამ განაცხადა, გადაწყვეტილება ეპარქიის აფხაზეთის საადგილმამულო ეკლესიად გარდაქმნის შესახებ ორი – სოხუმისა და ბიჭვინთის კათედრით მიღებული იქნა აფხაზეთის ყველა სამღვდელო პირის საერთო კრებაზე სამშაბათს გვიან საღამოს. ბესარიონ აპლიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის სამღვდელოება „არასოდეს მიიჩნევდა თავის ეკლესიას საქართველოს ნაწილად". „ქართული ეკლესია სტალინმა მოიგონა", – განაცხადა მან. ამას გარდა მან აღნიშნა, რომ არავითარი კონსულტაცია „არც მოსკოვის საპატრიარქოსთან და არც ვინმე სხვასთან" აფხაზეთის სამღვდელოებას არ უწარმოებია: „პატრიარქ კირილს ჩვენ უსათუოდ მივმართავთ თხოვნით აღიარების შესახებ, მაგრამ ეს ჩვენი მოქმედების უკვე მეორე ეტაპი იქნება". შეკითხვაზე, ხომ არ ეშინია მას, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია უარს იტყვის აფხაზეთის საადგილმამულო ეკლესიის აღდგენის აღიარებაზე, აპლიამ უპასუხა, რომ „მას მხოლოდ უფლისა ეშინია".

აფხაზეთის 215 ათას მცხოვრებთაგან, გამოკითხვის შედეგად, მართლმადიდებლად მიაჩნია თავი 70 პროცენტს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არის 11 მოქმედი მართლმადიდებელი ტაძარი და ეკლესია, აგრეთვე ორი მონასტერი. კიდევ 140 საკულტო ნაგებობა არ მოქმედებს. ყველაზე ცნობილ მართლმადიდებელ ცენტრად ითვლება 1875 წელს დაარსებული ახალი ათონის სიმონ კანანელის მამათა მონასტერი.

აფხაზეთის ეკლესიის აღიარების საკითხი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან იქნება მეტად მტკივნეული. წინა დღით მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების ხელმძღვანელმა არქიეპისკოპოსმა ილარიონმა განაცხადა, რომ „პოლიტიკური საზღვრების ცვლილება როდი ნიშნავს იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა შეიცვალოს საეკლესიო კანონიკური საზღვრებიც", და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია „აღიარებს საქართველოს ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიას, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთისაც". რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის საკითხში უცვლელი რჩება უკვე მთელი წლიწადია. გასულ შემოდგომას, როდესაც ამ ეკლესიებმა ოფიციალურად მიმართეს პატრიარქ ალექსი მეორეს თხოვნით მიეღოთ ისინი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში, წმინდა სინოდმა უარი განაცხადა მათი თხოვნის შესრულებაზე.

ოფიციალურ დონეზე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა ეს უარი განმარტეს იმით, რომ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე რჩება „ლამის ერთადერთ მოკავშირედ რუსეთის ეკლესიისა" კონფლიქტებში მოსკოვის მიერ უკრაინის მართლმადიდებელი და ესტონეთის სამოციქულო ეკლესიების უღიარებლობასთან დაკავშირებით. ის, რომ ეს პოზიცია არ შეიცვლება ამჟამადაც, მტკიცედ სწამთ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც. „ჩვენ არ გვჯერა, რომ მოსკოვის საპატრიარქო ცალი ხელით კურთხევას უგზავნის საქართველოს ეკლესიის ერთიანობას, მეორე ხელით კი ხელს უწყობს გამთიშველებს, – განაცხადა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმემ, რომელიც სათავეში უდგას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო-საეკლესიო ურთიერთობათა განყოფილებას. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არაერთგზის უღიარებია ჩვენი კანონიკური ტერიტორიების ერთიანობა, მათ შორის პატრიარქების ალექსისა და კირილის პირით". „აპლიას არ აქვს უფლება გამოაცხადოს ავტოკეფალია, მიაჩნია მამა დავით შარაშენიძეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პრესსამსახურიდან – აფხაზეთის ეპარქიამ უნდა მიმართოს დედაეკლესიას, ესე იგი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რათა მიიღოს თანხმობა, შემდეგ კი იგი უნდა აღიაროს ყველა 15-მა საადგილმამულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ". პატრიარქ ილია მეორის თანაშემწე მიხეილ ბოტკოველმა განაცხადა, რომ მამა ბესარიონ აპლია საერთოდ „უკვე დიდი ხანია გადაყენებულია ეპარქიის ხელმძღვანელის პოსტიდან, მისი ხელდასხმული კი არის მღვდელი კირილი, რომელსაც, სამწუხაროდ, არ გააჩნია შესაძლებლობა ეწეოდეს სამსახურს აფხაზეთის ტერიტორიაზე".



საქართველოს ოფიციალურ პირთა რეაქცია აფხაზი მართლმადიდებლების ინიციატივასთან დაკავშირებით აღმოჩნდა კიდევ უფრო მკაცრი. „ბესარიონ აპლია რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია და მისი განცხადება, რასაკვირველია, ნაკარნახევია მოსკოვიდან", –დარწმუნებულია საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია.

რუსეთის პარლამენტში, თავის მხრივ, აფხაზეთის საადგილმამულო ეკლესიის დამოუკიდებლობისადმი ერთობ თავშეკავებული არიან. „ეკლესია ჩვენთან გამოყოფილია სახელმწიფოსგან და სახელმწიფო დუმა არავითარ კომენტარს არ გაუკეთებს ამ გადაწყვეტილებას", – განაცხადა სახელმწიფო დუმის დეპუტატმა კონსტანტინ ზატულინმა, რომელიც სათავეში უდგას დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტს. ბატონი ზატულინი მიიჩნევს, რომ „საკითხი ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ გარკვეულ პერიოდამდე უნდა იყოს გაყინული, ამ დროს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ უნდა დაარღვიოს თანამშრომლობის პროგრამა კონკრეტულ სამღვდელოებასთან და მრევლთან აფხაზეთში". „მთავარია ხალხი არ დარჩეს ღმერთის გარეშე", – მიაჩნია დეპუტატს.

თავად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ჯერჯერობით უკან არ იხევენ თავიანთი ძველი პოზიციიდან აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. „გადაწყვეტილება მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის შეცვლის შესახებ ამა თუ იმ რეგიონში არ შეიძლება მიღებული იქნეს ცალმხრივად. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები აწარმოებენ მოლაპარაკებას აფხაზეთში მდგომარეობის შესახებ", – განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ ნიკოლაი ბალაშოვმა. დეკანოზმა ნიკოლაიმ აგრეთვე დააზუსტა, რომ მოსკოვში „ჯერჯერობით არ მიუღიათ ოფიციალური ინფორმაცია აფხაზეთის სასულიერო წრეების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ". მოძღვარი იგორ იაკინჩუკი აღნიშნავდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია „პატივს სცემს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს". მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორი პროტოდიაკონი ანდრეი კურაევი ყურადღებას აპყრობს იმას, რომ დღემდე აფხაზეთის სამღვდელოების წარმომადგენლებს „შეეძლოთ ეთანამშრომლათ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან სწორედ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ საქართველოს მართმალიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში. თუ გათიშვა მოხდება, ისინი ამას ვერ გააკეთებენ". „მთელი ეს სიტუაცია საბავშვო ულტიმატუმს ჰგავს, როდესაც ბავშვს მშობლების ყურადღება უნდა მიიპყროს", – მიაჩნია ანდრეის.

აფხაზეთის სასულიერო წრეების გადაწყვეტილებას სიხარულით დაუჭირეს მხარი სამხრეთ ოსეთში. ალანიის ეპარქიის ეპისკოპოსმა მეუფე გიორგიმ (ფუხაევიძ განაცხადა: „აფხაზეთმა ტანჯვით მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა როგორც პოლიტიკური, ისე სულიერი, და აფხაზები სწორად მოიქცნენ, როცა ეს ნაბიჯი გადადგეს". მისი აზრით, „როდესაც მოსკოვის საპატრიარქოს მიმართეს დახმარებისთვის, მათ დაიტოვეს უფლება უარის შემთხვევაში, როგორც ეს ჩვენთან დაკავშირებით მოხდა, მიმართონ მესამე მხარეს". საკითხი შეეხება იმას, რომ ალანიის ეპარქია, რომელმაც ასევე გამოაცხადა თავისი გამოსვლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, აღიარებს თავს ძველი ალანიის ეკლესიის მემკვიდრედ.

**პაველ კორობოვი, ოლეგ კაშინი, გიორგი დვალი, ზაურ ფარნიევი, დაუდ კუჩბა**

Коммерсантъ

# ლუკაშენკომ უხვად გადაიხადა ავანსი აღიარებისთვის

**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის პარლამენტი ოქტომბერში განიხილავს საკითხს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების საკითხს.**

მან ეს განაცხადა ვილნიუსში ვიზიტის შემდეგ. ეს ქვეყანა მისთვის არის პირველი ოფიციალური ვიზიტი ევროკავშირის ქვეყანაში. თუ ბელარუსის ლიდერი შეასრულებს დანაპირებს, ევროკავშირში მისი ყოფნა შეიძლება აღმოჩნდეს მისთვის უკანასკნელი – ადრე ბრიუსელი არაერთგზის აფრთხილებდა მინსკს კავკასიის რესპუბლიკების აღიარების მიუღებლობის შესახებ. ამ დროს ალექსანდრ ლუკაშენკო არ უნდა ელოდეს მადლობას მოსკოვისგანაც. კრემლში განაცხადეს, რომ რუსეთი არ აპირებს გადაიხადოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარებისთვის მრავალმილიონიანი კრედიტები.




ალექსანდრ ლუკაშენკოს ჩასვლა ვილნიუსში – ეს არის პირველი მგზავრობა 10 წლის განმავლობაში ევროკავშირის ქვეყანაში: შარშან ოქტომბრამდე მას ევროპაში ჩასვლა ეკრძალებოდა. თუმცა წელს გაზაფხულზე ბატონი ლუკაშენკო იმყოფებოდა ვატიკანში, მაგრამ, ჯერ ერთი, ვატიკანი არ შედის ევროკავშირში, მეორეც, ეს ვიზიტი არაოფიციალური იყო.

ამ დროს ზოგიერთი წყარო კრემლიდან და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან იტყობინება, რომ რუსეთს არ აქვს განზრახული მადლობა გადაუხადოს ბელარუსს ფულით, იმ შემთხვევაში, თუ იგი აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. „ამ საკითხს ჩვენ უკვე დიდი ხანია აღარ ვუკავშირებთ კრედიტებს. მინსკმა ისე გააჭიანურა მისი მიღება, რომ იგი აღარ არის უკვე ვაჭრობის საგანი, განაცხადა მაღალი თანამდებობის რუსმა დიპლომატმა. რაც შეეხება კრედიტებს, ფულს განაგებს ფინანსთა სამინისტრო. აქ არავითარი პოლიტიკა არაა". ეს პოზიცია დაადასტურეს დიმიტრი მედვედევის ადმინისტრაციაშიც. „ლუკაშენკოს განცხადება – ეს მისი პირადი ინიციატივაა. იგი ამას დიდი ხანია გვპირდებოდა. უაზროა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის აღიარების განპირობება კრედიტებით", – განაცხადა წყარომ ძველი მოედნიდან.

**ვლადიმერ სოლოვიოვი, მაქსიმ კონოვალოვი, ვლადიმირ ვოდო**

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**მოშიმშილეთა რიცხვმა მსოფლიოში ერთ მილიარდს გადააჭარბა**

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის დირექტორის ჟოზეფ შირანის სიტყვებით, ამჟამად მოშიმშილეთათვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარების მოცულობა „არის ყველაზე მინიმალური მთელი ისტორიის განმავლობაში". მისი აზრით, მოხდა „ორი გრიგალის – მსოფლიო საფინანსო კრიზისა და პროდუქტების გაძვირების შეჯახება".

* * *

**ობამამ, გააუქმა ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, დაარღვია მასთან „განსაკუთრებული ურთიერთობა", იქ ეს ღალატად მიიჩნიეს**

ექსპერტებს გაუჩნდათ ეჭვი რაკეტსაწინაალმდეგო თავდაცვის ღირებულებასთან, ეფექტიანობასთან და ბაზების განლაგებასთან დაკავშირებითაც კი. შედეგად ბუშისდროინდელი რწმენა აღმოსავლეთ ევროპის მცხოვრებლებს შეეცვალათ გრძნობით, რომ ისინი გაჰყიდეს, წერს ნიუ-იორკ ტაიმსი.



* * *

**ჩინეთის კომპარტიის პლენუმმა შეიძლება დაასახელოს ახალი გენერალური მდივანი**

ამჟამად ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, რომელიც უდიდესია მსოფლიოში, სათავეში უდგას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ძინტაო. 2012 წელს ის უნდა გადადგეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასახელებენ გენერალური მდივნის პოსტის ძირითად პრეტენდენტს.

* * *

**პაკისტანში დააპატიმრეს თალიბების ერთ-ერთი მეთაური, რომელიც შედიოდა ყველაზე საშიშ დამნაშავეთა სიაში**

მუხამედ კასაბი დააკავეს მდინარე სვატის დაბლობში. ინფორმაციისთვის ბოევიკის შესახებ დაპირებული იყო ჯილდო 12 მილიონი რუპის (121 ათასი ამერიკული დოლარი) ოდენობით. ამჟამად სამთავრობო ძალები აგრძელებენ ამ დაბლობის კიდევ ერთ ლიდერის მაულანა ფაზლულას ძებნას.




* * *

**ნემსებით თავდასხმის ეპიდემია გავრცელდა ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთშიც: ეჭვმიტანილი დაკავებულია**

აგვისტოს შუა რიცხვებიდან ნემსებით თავდასხმების სერია მოხდა ადმინისტრაციულ ცენტრს ურუმჩიში. ამჟამად იქ დაპატიმრებულია მსგავსი აქციების 75 მონაწილე, რამაც გამოიწვია დიდი პანიკა მოსახლეობას შორის. სამ თავდასხმელს მიესაჯა ხანგრძლივი პატიმრობა.

გამოიცა

# მოვდიოდით და მოვტიროდით...

## მონოგრაფია ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და საქართველო (XVI ს.)

**აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა მონოგრაფია „საერთაშორისო ურთიერთობანი ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთ-ირანის ომების დროს და საქართველო (XVI საუკუნე)“. მონოგრაფიის ავტორები არიან ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერები, პროფესორები მიხეილ სვანიძე, დავით კაციტაძე, პავლე თოფურია, თამაზ ნატროშვილი და მათი მოწაფეები რუსუდან შარუმაშვილი და კახა დემეტრაშვილი. მონოგრაფიის ძირითადი ავტორი და გრანტის პროექტის ხელმძღვანელი არის მიხეილ სვანიძე.**

მონოგრაფიაში განხილულია საერთაშორისო ვითარება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ოსმალეთ-ირანის ომები და გაანალიზებულია მათ შორის დადებული საზავო ხელშეკრულებები, ნაჩვენებია თუ რა მწვავედ იდგა „გურჯისტანის საკითხი“ მათ ურთიერთობაში.

შესავალში განხილულია საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVI საუკუნის დამდეგს. ამ დროს დამთავრდა საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო – სამთავროებად, რამაც მნიშვნელოვნად დაასუსტა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. სწორედ ამ დროს საქართველოს სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეფიანთა ირანმა და ოსმალეთმა რკალი შემოავლეს და შეუდგნენ საქართველოს დაპყრობას.

ნაშრომში განხილულია ოსმალეთის უფლისწულ სელიმის ომები. იგი 1481-1510 წლებში ტრაპიზონის სანჯაყის გამგებელი იყო და მან სამგზის ლაშქრობა მოაწყო საქართველოში. მ. სვანიძემ დაადგინა ამ შემოსევების თარიღები (1504, 1508, 1509 წწ.)

წიგნში გაშუქებულია XVI ს-ის დამდეგს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის დაწყებული ომი ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის და ნაჩვენებია, თუ რა მწვავედ იდგა არა მარტო „გურჯისტანის“, არამედ მთელი ამიერკავკასიის საკითხი.

საქართველოს მეფეები ცდილობდნენ ოსმალეთთან და ირანთან ურთიერთობის დროს დაბალანსების პოლიტიკა განეხორციელებინათ. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ქართლის მეფის დავით X (1505-1525) მიერ სპარსულ ენაზე შედგენილი ოსმალეთის სულთნის კარზე გაგზავნილი წერილი. ასევე საინტერესოა ალექსანდრე II კახეთის მეფის დაბალანსების პოლიტიკა, რომელიც XVI საუკუნის 80-იან წლებში ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ხელდებული იყო და ამით შეინარჩუნა ქვეყნის თვითმყოფადობა.

ნაშრომის პირველი ნაწილის II თავში – „სეფიანთა სახელმწიფო და საქართველო“, – რომლის ავტორია ახლახან გარდაცვლილი დიდებული პიროვნება, პროფ. დავით კაციტაძე, განხილულია სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობა, დივ-სულთან რუმლუს ლაშქრობები საქართველოში და შაჰ თამაზ I-ის შემოსევები საქართველოში. გამოკვლევა ემყარება პირველწყაროებს და მდიდარ საისტორიო ლიტერატურას ქართულ, სპარსულ და ევროპულ ენებზე.

ცალკე თავში განხილულია ოსმალეთის სულთნის სულეიმან I საგარეო პოლიტიკა და დაპყრობითი ომები ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. სულეიმან I-ის (1520-1566) გამეფების შემდეგ ოსმალეთსა და ირანის ურთიერთობაში იწყება ახალი ეტაპი, რაზეც ნაშრომში დაწვრილებითაა მსჯელობა. სულეიმან პირველმა მოაწყო სამი ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ (1535, 1548-1549 და 1553-1554 წწ.) ამ ომების დროს ოსმალებმა დაიპყრეს დასავლეთ სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი.

ოსმალეთ-ირანის ომები XVI საუკუნის პირველ ნახევარში დამთავრდა ამასიის ზავით. ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული ამასიის საზავო ხელშეკრულების დადების ისტორია და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ამასიის ზავი დაიდო არა 1555 წლის 29 მაისს, არამედ – 1555 წლის 1 ივნისს, როგორც ეს დაასაბუთა თურქმა ისტორიკოსმა ფ. კირზიოღლუმ თურქული საარქივო წყაროების საფუძველზე.

როგორც ცნობილია ამასიის ზავით ოსმალეთმა და ირანმა საქართველო ურთიერთშორის გაინაწილეს. ეს ზავი საქართველოს ერთიანობის აღდგენას არსებითად უშლიდა ხელს.

ნარკვევში განხილულია 1578-1590 წლებში ოსმალეთ-ირანის ომი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ომის დროს ოსმალებმა დაიპყრეს აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგო და 1579 წელს დააარსეს ახალციხის (ჩილდირის) საფაშო.




ნაშრომში სათანადოდაა ნაჩვენები ქართლის მეფის სიმონ I-ის თავდადებული ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ. სიმონმა არაერთი დამარცხება აგემა ოსმალებს, რის გამოც ოსმალეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1588 წელს სიმონ მეფესა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ოსმალეთმა სიმონ მეფე ქრისტიანობით აღიარეს ქართლის გამგებლად მოხარკეობის საფუძველზე. სულ სხვა პოლიტიკა აირჩია კახეთის მეფემ ალექსანდრე II-მ. მან ოსმალეთს მორჩილება აღუთქვა, მაგრამ ირანთანაც ურთიერთობას არ წყვეტდა და რუსეთთანაც ურთიერთობა გააბა. ალექსანდრე კახეთის მეფე ერთდროულად სამი სახელმწიფოს – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის ხელდებული აღმოჩნდა. ამ პოლიტიკის შედეგად მან თავი დააღწია როგორც ყიზილბაშობას, ისე ოსმალობას.

1590 წლის ოსმალეთ-ირანის სტამბოლის ზავით მთელი ამიერკავკასია და დასავლეთ ირანი ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა.

ნაშრომი დაწერილია აღმოსავლური და ევროპული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე. ნაწილი ამ ლიტერატურისა პირველად შემოდის ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში და გამოკვლევაში ავტორებს მრავალი საკითხი ახლებურად აქვთ გაშუქებული.

მონოგრაფია ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**გივი ჯამბურია.**

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

სიცილის ოსტატები

# მიხაილ ჟვანეცკი: „შიშველი ქალები ქვეყანას ვერ გადაარჩენენ“



## ხელოვნება სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში ჩაიფლო

***გთავაზობთ ცნობილი რუსი მწერლის მიხაილ ჟვანეცკის მოსაზრებებს, რომლებიც მან გამოთქვა ტელეარხზე – „როსია“.***

### ისვრიან!

**ჰოლივუდი დიდ თანხაზე ყიდის მკვლელობებს!** მე მომწონს სროლები ეკრანზე. მაგრამ მასში უნდა იყოს აზრი, მასში უნდა იყოს რაიმე ინტრიგა. მაგრამ ხომ არ შეუძლია ერთს ხოცოს ყველა დაუსრულებლად. და გამოვიდეს აქედან „ისე, ერთი ნაკაწრიც რომ არ ჰქონდეს“. ეს გოგონებიც ვინ არიან, გმირი მკვლელები რომ ექაჩებიან თავისკენ! ისინი, იდიოტებივით, უსათუოდ კითხულობენ: „მითხარი, რა ხდება? ამიხსენი, რა ხდება?“ რა არის აქ ასახსნელი? ისვრიან! აი, ახლაც დაჯდება და დაიწყებს სროლას!



ლიტერატურაც მასობრივად ყიდის მკვლელობებს, მხოლოდ ის ამას აღწერს და ცდილობს, როგორმე აგვიხსნას რამე – ისიც დიდ თანხაზე. იუმორს აგურზე ვცვლით: გაყიდე ხუმრობა, შემდეგ რაიმე აიშენე. ერთმა იმღერა – მიიღო კოპწია ტანსაცმელი. მეორემ რეჟისურა ჯიპზე გაცვალა. ლექსებს ვცვლით სამშენებლო მასალებზე, პროზას – უბრალოდ ფულზე. ხელოვნება უსასრულო სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩაეფლო.

### ვისღა უნდა სიცილი!

**ოდესღაც იყო საუცხოო გადაცემა „ეს თქვენ შეგიძლიათ“.** იქ რაღაცა დაფრინავდა, დახტოდა, თვითნაკეთი ტანკები დაგლიჯინობდნენ. გამომგონებლობა იყო – უჰ, უჰ, უჰ! მიყვარს ტექნიკა, მიყვარს გამოგონებები. მიყვარს კარგი საინჟინრო გონება! აი, ეს უნდა აჩვენო ჩვენი ტელევიზიით! ახლა „დისქავერის“ არხზე არის შესანიშნავი გადაცემა „როგორ გაკეთდა ეს“. იაფი და იორლა, უბრალოდ ხდება ხიდის მშენებლობის ტრანსლაცია! მაგრამ რა ლამაზია! რატომ არ შეიძლება ჩვენს არხზეც ვაჩვენოთ, ვთქვათ მფრინავების ვარჯიში? არა ალღუმზე გამოსვლა, არამედ სასწავლო ყოველდღიურობა – ჩემი აზრით, ეს არც ისე ძვირი ელირება, სამაგიეროდ მიმზიდველი იქნება. რაც უფრო გონივრულია გადაცემა, მით ხომ უფრო იაფია!

რეიტინგი – ესაა უგუნურების გზავნილი უგუნურებისთვის. ნებისმიერი ვარსკვლავი შეიძლება გახადო პოპულარული, მაგრამ ეს რა სახელია? აი, ვისოცკის ჰქონდა უმაღლესი რეიტინგი და გასაოცარი პოპულარობა. აი, ეს რეიტინგი იყო სრულიად განსაკუთრებული, არა ისეთი, ახლა რომ არის. ნიჭიერი კაცის რეიტინგი ჭკვიან ხალხში. თვალყურს ვადევნებდი, ვხედავდი – თავად იგი არ აცნობიერებდა თავისი პოპულარობის მასშტაბებს. ახლა ვინ წარმოგვიდგინა იგი? ვინ გვაჩვენა იგი? თვითონ არა. ჩვენ ის გვაჩუქა სამეცნიერო ინტელიგენციამ, ვისთვისაც დაიწყო მან სიმღერა! ეს ის ხალხი იყო, ვინც ქმნიდა ატომურ ბომბს, ეს ის ხალხი იყო, ვინც იარაღს ქმნიდა ამერიკასთან ბრძოლაში საფოსტო ყუთში, მას მოუსმინეს, ჩაიწერეს და – აჩუქეს ყველას! იმიტომ, რომ მუშათა კლასს, ვისოცკისადმი თაყვანისცემის მიუხედავად, არ შეეძლო უმალვე ამოეცნო იგი. ეს შეიძლებოდა გაეკეთებინა მხოლოდ უმაღლესი დონის ჟიურის – ახალგაზრდა ხალხს, ჭკვიანებს, მეცნიერებს, ლამაზებს, ინტელექტუალებს. ვისი სახელებიც იყო ამერიკის სამეცნიერო წრეებში, რომლებიც ახლა ცხოვრობენ სადღაც სან-ფრანცისკოში იმიტომ, რომ აქედან წავიდნენ და მეორე ვისოცკი აღარ არის – იმიტომ, რომ ისინიც აღარ არიან! ვერ გამოჩნდება მეორე ვისოცკი, თუ არ იქნება ასეთი პუბლიკა! როგორც ამბობენ, „შემიძლია გავაცინო – მაგრამ ვინ?“

მათ შემქმნეს მეც, მათ შექმნეს ოკუჯავა. ახლა ისინი აღარ არიან. სამაგიეროდ ახლა სამეცნიერო და ინტელექტუალური პუბლიკის ნაცვლად მოვიდნენ რადიოს, ტელევიზიის ადმინისტრატორები – მანკიერი ხალხი! აი, ასეთი ჯიშისა – „ყველაფერს ჭამდა, ყველაფერს სვამდა, ყველაფერი ჰქონდა“.

### „ვარსკვლავი“ – ვინ არის ეს?

**სიტყვა „ვარსკვლავი“ ძალიან მომწონს!** იმის მაგივრად, რომ თქვა ადამიანზე – „ნიჭიერი“ ან „შესანიშნავი მომღერალი“ ან „რა გასაოცარი ტემბრია!“, შემდეგ კი – „ხელოვნებაში მთელი მიმართულების ფუძემდებელია“, ამბობენ: ვარსკვლავია!

ამას წინათ საავადმყოფოში ვიყავი. მივდივარ ლიფტით, ხალხი ბლომადაა, გაჭედილია. უცბად ვიღაც ჩემზე ამბობს: „ჟვანეცკის მოგვაგონებს“. რომელიღაც დედაკაცი ეხმაურება: „კი, ჰგავს!“ მეორე დედაკაცი კი უპასუხებს: „როგორც შენ იტყვი. აი, როგორ არა – ლიფტში იქნება ჩვენთან ერთად. ეს რომ ჟვანეცკი იყოს – შვეულმფრენით აიყვანდნენ!“ იმიტომ, რომ ხალხს უნდა – ვარსკვლავი აუცილებლად ცალკე ლიფტით ადიოდეს სადღაც. იმიტომ, რომ თავად ცნება „ვარსკვლავი“, ამ ბოლო დროს რომ ასეთი შემზარავი გახდა, ვარაუდობს ასეთ ქარაფშუტულ სისულელეს. გაზეთები და ჟურნალები სასტუმროებს დაემგვანენ. ორვარსკვლავიანს, სამვარსკვლავიანს, ხუთვარსკვლავიანს. ყველა მასობრივი ინფორმაციის საშუალება იხვეჭს ამ ვარსკვლავებზე. ბეჭდავენ რაღაც ერთ მასალას კრიზისზე, ყველა სხვა დანარჩენი მასალა – ვარსკვლავებია. როგორ ჭამენ? როგორ არ ჭამენ – ესე იგი წონაში იკლებენ? იმის სრული შეგრძნებაა, რომ მთელი მოსახლეობა ზურგით ზევითკენ მიცვენილია კარის კლიტის ხვრელზე და მისჩერებია ვარსკვლავების ბარკლებს, ყველა მისჩერებია სხვების ბინებს. სწავლობენ ამ ვარსკვლავების ცხოვრებას. რა არის აქ შესასწავლი? აი, ასე უნდა გამოათაყვანო მოსახლეობა! ნორმალური, კეთილი, კარგი მოსახლეობა გამოათაყვანაო იმ დეიდების დახმარებით, რომლებსაც „ვარსკვლავები“ ჰქვიათ. შემდეგ კი, დარწმუნებული ვარ: შიშველი ქალები, თუნდაც ძალიან ლამაზები, სუპერვარსკვლავებიც კი, ქვეყანას ვერ გადაარჩენენ! ქვეყანას შიმშილისგან იხსნიან დაბამბულ ჯუბიანი, ჩექმებიანი, ნეხვში მდგარი დედაკაცები! ისეთები, როგორიც მორდიუკოვა იყო! გოჭებით, იხვებით, ქათმებით ხელში.

მეორედ წასვლა

# ვინ დაიბარებს მიშას?

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი თანამდებობიდან გადადგა. უფრო სწორად — გადააყენეს.**

მოგეხსენებათ, ქართული ფეხბურთის უფსკრულში გადაჩეხვისა და, განსაკუთრებით, ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელი სამარცხვინო თამაშის გამო უკმაყოფილებას მის მიმართ სულ უფრო ხშირად გამოთქვამდნენ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში — საილუსტრაციოდ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ამასწინანდელი განცხადებაც კმარა მთავრობის სხდომაზე, ხოლო მოთმინების ფიალა საბოლოოდ იტალიელებთან „ჯვაროსანთა" კრახმა აავსო.



მართალია, „ჩომბიკას" უფლებამოსილების ვადა 2 წლის შემდეგ ეწურება, მაგრამ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ ნიკა რურუასთან დაბარების შემდეგ თანამდებობის დატოვება გადაწყვიტა. არ გადაწყვეტდა და მაგისი აჯობებდა...

არადა, მამამისის მსგავსად, საქმის კურსში ფიფა-უეფა რომ ჩაეყენებინა — აქაოდა, ფედერაციის საშინაო საქმეებში ოფიციოზი ერევაო, კიდევ ექნებოდა პოსტზე დარჩენის შანსი, თუმცა საამისოდ, ალბათ, დასახელებული ორგანიზაციებიდან ჩვენი ქვეყნის მოკვეთის ვარიანტიც დადგებოდა დღის წესრიგში. რაკი ასე არ მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ვარდოსნებს" თავიანთი გოშიის მიმართ საკმარისი კომპრომატები მოეპოვებათ.

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 13 მაისის სფფ სკანდალურ ყრილობაზე უმცროს ახალკაცს ქართულმა საფეხბურთო სამყარომ უკვე მიუთითა კარისკენ, მაგრამ ამ უთავმოყვარეო არსებამ ღირსეულ დამარცხებას კაბინეტში დაბრუნება ამჯობინა, ბოკერიას კლანს უერთგულა და მარადიული ლაქით „გაიმდიდრა" ბიოგრაფია.

მაშინ „ნოდარჩიკას" გულშემატკივრის პოზიციიდან ბევრი აფრთხილებდა, ძალაუფლებით დაბანგული თინეიჯერი პოლიტიკანები საკუთარ ჭიას გაიხარებენ და მალე ხელთათმანივით მოგისვრიანო, მაგრამ ვინ დაგიჯერა.

სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ?) პროგნოზი ახდა — ნოდარ ახალკაცი მეორედ წავიდა.

საკითხავი ესღა დარჩა — ვინ ან სად და როდის დაიბარებს მიშას, რომ ერისა და ბერის ხმა შეისმინოს და ერთხელ და სამუდამოდ დაგვანებოს თავი?

* * *

**ვინ გახდება სფფ მეხუთე პრეზიდენტი? — გაჩნდა ახალი აქტუალური კითხვა.**

ყველაფერს 1 ოქტომბერს შევიტყობთ, როცა ფედერაციის წესდების სათანადო მუხლის შესაბამისად, მისი რიგგარეშე ყრილობა გაიმართება.

რაც შეეხება მამა-შვილ ახალკაცების, მერაბ ჟორდანიასა და გიორგი ნემსაძის მემკვიდრეს, მათგან ყველაზე რეალურად ახალგაზრდა ბიზნესმენ მერაბ შარანგიას კანდიდატურა გვესახება. გარდა იმისა, რომ იგი ერთ-ერთი ფიჭური კომპანიის მეწილე, რესტორან „ქალაქურისა" და „დეზერტირების ბაზრის" მფლობელია, აფხაზებთან მჭიდრო ურთიერთობაც აკავშირებს. ქართული შავიზღვისპირეთის ამ მარგალიტის მკვიდრი ახრიკ ცვეიბასთან ერთად ლესელიძის განთქმული საწვრთნელი ბაზების მეპატრონეც გახლავთ.

ასე რომ, ცოტაც მოვითმინოთ და...

მთავარია, 2007 წლის 13 მაისის კოშმარი აღარ განმეორდეს და ქართული ფეხბურთის სათავეში ის პიროვნება მოვიდეს, რომელიც მისი მართვის თანამედროვე მანკიერ სისტემას შეცვლის.

**გუშინ გამოსათხოვარი პრესკონფერენციის შემდეგ ნოდარ ახალკაცი სტამბოლში გაფრინდა.**

**გია პლატონიშვილი**



ფეხბურთი

# ყველა როგორ გვჯობნის?

**ჩემპიონთა ლიგის ოთხშაბათის რაუნდში ავანსცენაზე დებიუტანტები გამოვიდნენ. მართალია, საბოლოოდ ყველანი დამარცხდნენ, მაგრამ ბოლომდე ღირსეულად იბრძოლეს. მეტიც, ლიეჟის „სტანდარდი" მეხუთე წუთისთვის თვით ლონდონის „არსენალს" აკრავდა ბეჭებზე — 2:0, ხოლო ყაზანის „რუბინი" კიევში 71-ე წუთამდე ინარჩუნებდა უპირატესობას.**

**„ე" ჯგუფი.** „ლივერპული" — „დებრეცენი" 1:0, „ლიონი" — „ფიორენტინა" 1:0.

**29 სექტემბერს ითამაშებენ:** „ფიორენტინა" — „ლივერპული", „დებრეცენი" — „ლიონი".

**„ვ" ჯგუფი.** „ინტერი" — „ბარსელონა" 0:0, „დინამო" (კიევი) — „რუბინი" 3:1.

**29 სექტემბერს ითამაშებენ:** „რუბინი" — „ინტერი", „ბარსელონა " — „დინამო" (კიევი).

**„ზ" ჯგუფი.** „შტუტგარტი" — „რეინჯერსი" 1:1, „სევილია" — „უნირეა" 2:0.

**29 სექტემბერს ითამაშებენ:** „უნირეა" — „შტუტგარტი", „რეინჯერსი" — „სევილია".

**„თ" ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი" — „ალკმაარი" 1:0, „სტანდარდი" — „არსენალი" 2:3.

**29 სექტემბერს ითამაშებენ:** „არსენალი" — „ოლიმპიაკოსი", „ალკმაარი" — „სტანდარდი".

ჭადრაკი

# დაწინაურდა მჭედლიშვილი



**ქალაქ კოლომბოში (შრი-ლანკა) გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატები — მიხეილ მჭედლიშვილი და მერაბ გაგუნაშვილიც მონაწილეობენ.** შეჯიბრების მეექვსე ტურში მჭედლიშვილმა შავი ფიგურებით ყაზახი დიდოსტატი პიოტრ კოსტენკო დაამარცხა, ხოლო გაგუნაშვილი მის თანამემამულე ანუარ ისმაგამბეტოვს დაუზავდა. 5-5 ქულით მჭედლიშვილი, მაკედონიელი ვლადიმირ გეორგიევი, ირანელი ელშან მორადიაბადი და ბელგიელი ვადიმ მალახატკო მეწინავეობენ. გაგუნაშვილმა ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

ძიუდო

# ჭაბუკებსაც და ახალგაზრდებსაც ახალი მწვრთნელები ჰყავთ

**ქართული ძიუდოს სამყაროში დიდი ამბები რომ ხდება, ეს კარგა ხანია, ცნობილია. მას შემდეგ, რაც შარშან ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურა წარადგინა, მასა და დილარ ხაბულიანს შორის შავმა კატამ გაირბინა.** დაპირისპირება ხაბარელის მოხსნითა და მის ნაცვლად ამირან ტოტიკაშვილის დანიშვნით დამთავრდა (თუმცა, საკითხავია, დამთავრდა რო?!), რის შესახებაც უკვე გაუწყეთ. ცვლილებები მოზარდთა ნაკრები გუნდების მესვეურებსაც შეეხოთ. დღეიდან ახალგაზრდებს ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი სოსო ლიპარტელიანი გაწვრთნის, ხოლო ჭაბუკებს ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის ვაჟი, ევროპის სამგზის ბრინჯაოს მედალოსანი რამაზ ჩოჩიშვილი უხელმძღვანელებს.



სუმო

# „შავი ზღვა" წინ მიიწევს

**იაპონიაში გრძელდება სუმოისტთა დიდი ტურნირი. სამწუხაროდ, ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო ლევან გორგოძემ (ტოჩინოშინი). ბოლო ტურში მას ბულგარელმა გოლიათმა კოტოოშუმ მოუგო.**

უარყოფითი ბალანსის შემთხვევაში უმაღლესი დივიზიონის დატოვება მოუწევდა ლევან ცაგურიას (კოკაი, ანუ „შავი ზღვა"), რამაც, ეტყობა, გამოაფხიზლა და 4 ტურში სამი გამარჯვება მოიპოვა. მესამე მოგება მე-15 მაუგაშირა იოშიკაძის ძლევით მიითვალა.



ბაშოზე უდანაკარგოდ 6 რიკიში მეწინავეობს. მათ შორის არიან იმპერატორის თასის მრავალგზის მფლობელები — ასაშორიუ და ჰაკუჰო.

მეზობლებთან

# მისტირიან



**„ფუტბოლმა", გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" დამატებამ გამოაქვეყნა მიმოხილვა, რომელიც ეხება რუსეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელებს.**

დმიტრი გუნკო (მოსკოვის „სპარტაკის" ერთ-ერთი მწვრთნელი) ლაპარაკობს ჯანო ანანიძეზე, რომელსაც ჯიუტად ჟანოს უწოდებს: „ჟანო თამამად იწყებს დრიბლინგს, ცდილობს მუდმივად გაამწვავოს თამაში და სამართლიანად რჩება მინდორზე ფინალურ სასტვენამდე, ჩვენ ყველას გვაიძულებს მწარე ოხვრით ვთქვათ, რომ მას უკვე ჰქონდა დებიუტი საქართველოს და არა რუსეთის ნაკრებში".

ინტერნეტიდან

## ხელშეუხებელი ბოლტი



**სამგზის ოლიმპიურ და სამგზისვე მსოფლიო ჩემპიონ უსეინ ბოლტს სამშობლოში — იამაიკაში — მიანიჭეს დიპლომატიური პრივილეგიები და მისი სახელის დარქმევას აპირებენ ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალისთვის.**

„მე ვურჩიე გენერალ-გუბერნატორს, მიანიჭოს მისტერ ბოლტს იამაიკის ყველაზე მაღალი ორდენი ათლეტურ შეჯიბრებებში გამოჩენილი შესანიშნავი წარმატებებისთვის" — განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ბრიუზა გოლდინგმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სპრინტერის მიერ მოპოვებული სპორტული გამარჯვებები მას უფლებას აძლევს ელჩის წოდებასა და მასთან დაკავშირებულ ყველა პრივილეგიაზე, მათ შორის დიპლომატიურ პასპორტზე, რომელიც მას ხელშეუხებლობას ანიჭებს.

გოლდინგმა ისიც თქვა, რომ ბოლტის სახელს მიანიჭებენ შოსეს, რომელიც აკავშირებს ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ქალაქებს. სწორედ იქ მოხვდა ბოლტი აპრილში ავტოავარიაში, უმნიშვნელო ტრავმა რომ მიიღო.

## ბოლივიის ნაკრები — ფა-ფუ!

**დიახ, არსებობა შეწყვიტა ფეხბურთში ბოლივიის ნაკრებმა. მისმა მოთამაშეებმა თვითდაშლა გამოაცხადეს ქვეყანაში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის საშინელი დაფინანსებისდამი პროტესტის ნიშნად.**



როგორც იტყობინებიან, დემარში შედგა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ნაკრებმა, ერთი კვირის წინათ ეკვატორის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ ყოველგვარი შანსები დაკარგა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად. ის კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს.

ფეხბურთის ეროვნულმა ფედერაციამ მთავრობისგან მოითხოვა ფეხბურთის დაფინანსების არსებითი გაზრდა, რათა ის კრიზისიდან გამოვიდეს. ამის პასუხად ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალისმა, თავად ფეხბურთის მგზნებარე გულშემატკივრებმა, მოითხოვა ფეხბურთის ნაციონალიზაცია.

მორალესის აზრით, მხოლოდ სახელმწიფოს ჩარევა დაეხმარება ფეხბურთელებს თამაშის მაღალი დონის მიღწევაში. ამასთან ის არ აზუსტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ფეხბურთის ნაციონალიზაცია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ფიფას წესდების მოთხოვნებს, რომელიც კრძალავს ფეხბურთის საქმეებში სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერ არჩევას.

## უფრო დიდი მკერდი უნდა

**„ლივერპულის" ქომაგმა, რეალიტ-შოუს „დიდი ძმის" ვარსკვლავმა და მოდელმა სოფი რიდმა, ერთხელ კიდევ გაახარა თავისი თაყვანისმცემლები მორიგი პიკანტური ფოტოსესიით. ამჯერად ქალიშვილი ჟურნალისთვის გადაიღეს.**



ახალ ფოტოსურათების თანმხლებ ინტერვიუში ლამაზმანი ყოველგვარი მოკრძალების გარეშე აცხადებს, რომ ამაყობს თავისი გულ-მკერდით და უნდა, რომ ის უფრო და უფრო დიდი იყოს.

„მე ძალზე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდი მექნებოდა, — უთხრა რიდმა ჟურნალისტებს, — ძუძუები ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. მათით მე მოხიბლული ვარ!"

ის პლასტიკურ ოპერაციაზეც კი ფიქრობს. თავის დროზე მან სახელი იმით გაითქვა, რომ უარი სტკიცა კრიშტიანუ რონალდუს, როდესაც ის „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობდა.

კონფერენცია

# ოჰ, ეს რევმატიზმი!..

## ახალი გზა რევმატოიდული ართრიტის მკურნალობაში

**ფარმაცევტულმა კომპანია „ჰოფმან-ლა როშიმ“ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე ახალი, ინოვაციური პრეპარატი „აქტემრა“ (ტოცილიზუმაბიძ შემოიტანა, რომელიც რევმატოლოგიური ართრიტის სამკურნალოდ გამოიყენება. როგორც კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს არის სრულიად ახალი გზა რევმატოლოგიური დაავადებების მკურნალობაში.**

**„აქტემრა“ საქართველოს ბაზარზე სექტემბერში შემოვა და ეს იქნება საქველმოქმედო აქცია. კომპანია პრეპარატის 180 ფლაკონს რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს გადასცემს და პირველი სამი თვის განმავლობაში, 60 პაციენტს საშუალება მიეცემა ჩაიტაროს მკურნალობა ხელმისაწვდომ ფასად.**

პრეპარატის პრეზენტაცია და სამეცნიერო კონფერენცია სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გუშინ გაიმართა კომპანია „ჰოფმან-ლა როშის“ ეგიდით. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად დიდი ბრიტანეთიდან თბილისში ჩამოვიდა საპატიო მომხსენებელი ენდრიუ ოსტორი – კონსულტანტ-რევმატოლოგი და კემბრიჯის უნივერსიტეტის ასოცირებული ლექტორი, კლინიკური მედიცინის სკოლის რევმატოლოგიის სამეცნიერო კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი. კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ კომპანია „ჰოფმან-ლა როშის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში გუგა რამიშვილი, აკადემიკოს ვ. ბითლანაძის სახელობის რევმატოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის პროფესორი დოდო ქართველიშვილი, კომპანია „ჰოფმან-ლა როშის“ სამედიცინო დირექტორი, მედიცინის დოქტორი ნინო გოჩიტაშვილი. ასევე სამედიცინო სფეროსა და ჯანდაცვის ორგანიზაციების 70 წარმომადგენელი. კონფერენციაზე მომხსენებლებმა დაწვრილებით ისაუბრეს ახალ პრეპარატსა და თავად რევმატოიდულ ართრიტზე. ნაჩვენები იყო ორი ვიდეორგოლი, რომელმაც უფრო ნათელი სურათი მისცა დამსწრე საზოგადოებას.



მომხსენებელთა გამოსვლები შეიძლება მოკლედ ასე წარმოვიდგინოთ: დღესდღეობით რევმატოლოგია მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია. მსგავსი პროგრესი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში არ ყოფილა. დადგა ერა ბიოლოგიური პრეპარატებისა, რომელიც ახალი და გაცილებით ეფექტური იარაღია რევმატოიდურ ართრიტთან საბრძოლველად. ამ პრეპარატის წყალობით რევმატოიდული ართრიტის პროგრესირების შეჩერება შესაძლებელია დაავადების ადრეულ სტადიაზევე. აღნიშნული დაავადების მკურნალობის მიზანია დაავადების სიმპტომების შემსუბუქება, სახსრების სტრუქტურული დაზიანების შეფერხება და გაუმჯობესება, დაავადების რემისიის მიღწევა და შენარჩუნება. „აქტემრა“ ეფექტურია რევმატოიდული ართრიტის სამკურნალოდ იმ პაციენტებშიც კი, რომლებიც სხვა არანაირ მკურნალობას არ ემორჩილებოდნენ. მისი ეფექტურობა და უსაფრთხოება დადასტურდა კლინიკური კვლევების ყველაზე სრულყოფილ პროგრამაში, რაც აქამდე ჩატარებულა რევმატოიდული ართრიტის მიმართულებით. კვლევებში მონაწილეობას დაახლოებით 4200 პაციენტი იღებდა. პრეპარატი პაციენტს ეძლეოდა, როგორც მონოთერაპიის, ასევე რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო სხვა პრეპარატებთან კომბინაციაში. „აქტემრა“ ერთადერთი ბიოლოგიური პრეპარატია, რომელიც მონოთერაპიის დროს უპირატესია, რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო ოქროს სტანდარტზე, მეტოტრექსატზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრეპარატის გამოყენებას თან ახლავს გვერდითი მოვლენები. მან შეიძლება გამოიწვიოს ინფექციური დაავადებები და სხვა გართულებები.

კონფერენციის ბოლოს შთაბეჭდილებები ჟურნალისტებსაც გაგვიზიარეს.

**გუგა რამიშვილი, კომპანია „ჰოფმან-ლა როშის“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში:**

– მოხარული ვარ, რომ კონფერენცია მაღალ დონეზე ჩატარდა. ჩვენი მიზანი იყო ახალი პრეპარატი უკეთ გაგვეცნო სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისთვის და მე მგონი, უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ვეცდებით, რომ ამ პრეპარატით მკურნალობა ხელმისაწვდომი იყოს, რათა ყველამ შეძლოს მისი გამოყენება. ასევე, დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ენდრიუ ოსტორს, რომ ჩამობრძანდა საქართველოში და თავისი გამოცდილება გაგვიზიარა.

კომპანია „ჰოფმან-ლა როში“ უკვე იწყებს იმ 60 პაციენტის მოძიებას, რომელსაც სამი თვის განმავლობაში დაეხმარებიან ზემოთ აღნიშნული საქველმოქმედო აქციის ფარგლებში.

**ანა წიწილაშვილი**

გუშინ – დღეისთვის

## აი, დემოკრატია!



**ვიეტნამში ომის დროს, 1967 წელს, აშშ-ში იმყოფებოდა ცნობილი ქართველი აკადემიკოსი. მაშინ სსრ კავშირიდან ამერიკაში წასვლა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის თითქმის შეუძლებელი იყო. ამიტომ იქაური ცხოვრების წესების შესახებ უმრავლესობამ ცოტა რამ იცოდა.**

ამერიკიდან დაბრუნებული აკადემიკოსი განცვიფრებული გვიყვებოდა გაგანია ომის დროს ვიეტნამელთა დასახმარებლად ადამიანთა ერთი ჯგუფი თუ როგორ აგროვებდა ფულს ნიუ-იორკის ქუჩის ერთ მხარეს, მეორე მხარეს კი სხვები იდგნენ საპროტესტო ლოზუნგებით ხელში და გაჰყვიროდნენ: სირცხვილი ამერიკას იმისათვის, რომ ვიეტნამში ომი ამდენ ხანს გააგრძელაო.

ჩემს შეკითხვაზე თუ რატომ არ აპატიმრებენ იმ ადამიანებს, ვინც თავისი ქვეყნის წინააღმდეგ ფულს აგროვებდნენ, – განაგრძო ცნობილმა მეცნიერმა – ამერიკელმა მასპინძელმა მიპასუხა: ეს საწყლები (ზუსტად ეს სიტყვა იხმარაძ თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავის ერთი მოტორის საყიდელ ფულსაც ვერ შეაგროვებენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ ძალა რომ გამოიყენო, ერთ ამბავს ატეხენ, მთელს მსოფლიოს აცნობებენ ამერიკაში დემოკრატიული უფლებების დარღვევის შესახებ და ამას შეიძლება ქვეყნისათვის უფრო ცუდი შედეგები მოჰყვესო.

**დასკვნა:** როცა სახელმწიფო ხელისუფლებას ეშინია რამდენიმე ოპოზიციონერის, პროტესტანტის გამოსვლის, ამ სახელმწიფოში კარგად არ არის საქმე, ხელისუფლება თიხის ფეხებზე დგას და საკმარისია ხელის ერთი კვრა, რათა დაიშალოს.

## მიშა, რეიზა არ მიდიხარ!

**კანცელარიის შესასვლელთან, ქვაფენილზე, ვიღაც იმერელს ხუმრობით დაუწერია: „მიშა, რეიზა არ მიდიხარ“.**

ამის დამწერს, ალბათ, ვერც კი წარმოუდგენია, თუ ძალაუფლებას რამხელა ჯადო-ხიბლი აქვს, ვისაც ერთხელ მაინც განუცდია სხვებზე (ზოგჯერ მილიონებზეძ ბატონობისა და მბრძანებლობის სიამოვნება, მას ასე ადვილად ვერ შეელევა.

მსოფლიო ისტორიაში, ალბათ, ერთეულები თუ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ძალაუფლება მოყირჭებოდა და თავისი ნებით უარი ეთქვა დანაშაულებამდე მისულ ჟინზე, კვლავაც გადაეწყვიტა მილიონობით ადამიანის ბედ-იღბალი. ხშირად ასეთ შედარებასაც მიმართავენ: ისევე, როგორც ლოთს არ შეუძლია ლოთობას შეეშვას, ბანქოს მოთამაშეს – ქაღალდის თამაშს, მეძავს – მეძავობას, ასევე ქვეყნის პირველ პირს არ ძალუძს ნებით თავისი სკამის დატოვება. ამიტომაა, რომ რევოლუციების შედეგად ძალით ჩამოგდებული სახელმწიფო მმართველის სკამს ეგზალტირებული ხალხი სიამოვნებით წვავს.

გეიგე ახლა, ჩემო ხუმარა იმერელო, რეიზა არ მიდის მიშა? რეიზა და ამიზა...

**ვაჟა თვალავაძე**

წკეპლიკა

# დედებიდან მამებზეც გადასულან...

**ჩვენმა გაზეთმა არაერთხელ გაილაშქრა ბევრი ქართველი ახალგაზრდის (შიგადაშიგ „ქველგაზრდისაც“ძ სიტყვიერ „რეპერტუარში“ ჩაბუდებული გამოთქმების წინააღმდეგ – „ჩემი დედა“... და „ჩემს დედას...“**

შეგახსენებთ: ისინი ამ უწმაწურ, ბილწ ფორმებს ან დასაფიცებლად მიმართავენ, ან წყრომისა თუ შეცხადების გამოსახატავად; არადა, დაფიცება თუ უნდათ, ხომ სულ ადვილია უწყინარ ფორმებზე გადასვლა: „ჩემი დედა არ მომიკვდეს“ და „ჩემს დედას გეფიცები“... მსოფლიოში ნეტავ თუ შეიძლება სხვა ერის დასახელება, რომლის ახალგაზრდა წარმომადგენლები მშობელს ასე უდიერად მოიხსენიებენ. თუნდაც გაცხარებისას?

ერთხანს მიამიტურად მეგონა – ეს საძაგლობა მოდად აიტაცეს (სიმახინჯესაც სჩვევია მოდუროზაძ და გადაივლის-მეთქი; გაგიგონია? კვლავ მკვიდრად ფესვგადგმულია და ახალიც მიიმატა თურმე: როგორც ერთმა დარბაისელმა ქალბატონმა გულისტკივილით გამანდო, **„მამაჩემის ბოზი ვიყო, თუ ვტყუოდე“** მოისმინა თურმე, ერთი გოგონასგან მეორისთვის ნათქვამი... კიდევ, „ბებიაჩემი“ ჩაუნაცვლებიათ, „ბაბუაჩემის ცოლით“ და მალე ალბათ „ბაბუაჩემი“ გახდება „ბებიაჩემის ქმარი“ – ასეც ცინიკოსობენ...

ამ ხნისა მოვიყარე და არც ერთი წინა თაობისაგან არ გამიგონია მსგავსი ლექსიკური „მარგალიტები“. სიბერემდე სიქაჩლეო – ამ ანდაზით ხომ არ ვინუგეშო თავი?.., – გვიშველის კი?

**თამაზ ებანოიძე.**

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ჯანმრთელობა

### ეს ნიორია!

**ნიორი ნატურალური ბუნებრივი წამალია ბევრი დაავადების საწინააღმდეგოდ. მასში 400-ზე მეტი სასარგებლო და საჭირო ნივთიერებაა: ცილები, ცხიმები, ვიტამინები (A, B, C, D, E ჯგუფებისაძ, მიკროელემენტები (იოდი, კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, სელენი, კაჟიძ, სპეციალურ არომატს ნიორს აძლევს ეთერის ზეთი, რომელსაც გააჩნია მძლავრი ანთების საწინააღმდეგო შედეგი, სოკოვანების საწინააღმდეგო და ანტიპარაზიტული მოქმედებანი. ანტიოქსიდების დიდი რაოდენობის წყალობით, ამ მცენარეს აქვს უნიკალური გამაახალგაზრდავებელი და მაგენერირებელი თვისებებიც.**

ნიორი იმუნოამამაღლებელი დიდებული პრეპარატია, ის მრავალგზის აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ დამცავ ძალებს. ნივრის მოქმედება შეიძლება შევადაროთ ანტიბიოტიკების ფართო სპექტრის მოქმედებას, რომლისგანაც იღუპება ვირუსები, სოკოვანები, ბაქტერიები და მუცლის ჭიის წარმონაქმნები.

ნივრის ჭამა შეუძლია ყველას, ასაკისა და სქესის მიუხედავად, აგრეთვე რომელიმე დაავადების მქონეთაც. თუმცა აუცილებელია დოზის რეგულირება, საკვებში ნივრის უხვად გამოყენებისას, შესაძლოა განვითარდეს დიარეა და მეტეორიზმი. ხოლო თუ კი ნივრის ერთ თავზე მეტს შეჭამთ ერთ ჯერზე, მაშინ, შეიძლება, ამან გამოიწვიოს შინაგანი სისხლდენა. ნივრის გამოყენების უარყოფით მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის გართულებანი და მწვავე გლომერულონეფრიტი. ასევე ნივრის გამოყენებას არ ვურჩევთ ძუძუს მაწოვარ დედებს, ვინაიდან, შეიძლება, რძეს მიეცეს სპეციფიკური არომატი და გემო, რაც პატარებს არ მოეწონებათ.

### ალცჰაიმერის ავადმყოფობისას ღვინო გიშველით

**მთელი რიგი გამოკვლევების შემდეგ ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ პონიფენოლები, შავი ღვინო რომ შეიცავს, გვეხმარება ალცჰაიმერის სენთან ბრძოლაში.**

ახალმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ამ ნივთიერებებიდან ზოგიერთი ნამდვილად სწვდება ტვინს. მეცნიერები აცხადებენ, რომ ამ სასარგებლო ნივთიერებებს ყურძენი შეიცავს. დადებითი ეფექტის მისაღწევად საკმარისია ღვინო გამოვიყენოთ ზოგჯერ და ზომიერი რაოდენობით.

### შაქარი ჭრილობებს კურნავს

**შაქარი, ისევე როგორც მარილი, მიჩნეულია თეთრ საწამლავად.** თუმცა ბრიტანელმა მეცნიერებმა, გააანალიზეს რა გამოკვლევების შედეგები, დაადგინეს, რომ შაქარი არცთუ ისე მავნეა, როგორც მიაჩნიათ, ის შეიძლება გამოვიყენოთ ჭრილობების, წყლულებისა და თვით ამპუტაციის შემდგომი ჭრილობების განსაკურნებლად. ის ჭრილობებს შეხორცებას და ტკივილის შემცირებაში ეხმარება. ვინაიდან ტკივილწარმომქნელ ბაქტერიებს, ანთებას რომ იწვევენ, აუცილებლად სჭირდება წყალი გამრავლებისა და ზრდისთვის, შაქარი კი წყალს შეიწოვს, რაც ბაქტერიების დაღუპვას იწვევს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

გიწვევთ მეოთხე ფესტივალზე

# „სიმღერა სამეგრელოზე“



## 19-20 სექტემბერს სამეგრელო მეოთხედ უმასპინძლებს ხობის ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“

**ფესტივალი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონ გოდერძი ბუკიას ინიციატივითა და ხელშეწყობით 2003 წელს დაფუძნდა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება.**

ხობის მეოთხე ფესტივალი 19 სექტემბერს 14 საათზე, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ხობის მუზეუმში გაიხსნება. აქვე შედგება ფესტივალისთვის მომზადებული ნაბეჭდი მასალის, ვიდეო და აუდიო პროდუქციის პრეზენტაცია. ამასთან ერთად, მუზეუმში დიდი ქართველი მოღვაწის, **გიორგი მთაწმინდელის** დაბადებიდან 1000 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გაიხსნება მემორიალი და ექსპოზიცია. ამავე იუბილეს ეძღვნება ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მუზეუმში 15 საათიდან დაიწყება.

ფესტივალის პირველ დღეს, 19 სექტემბერს, საღამოს 20 საათზე, ხეთის თეატრონი ფოლკლორულ კოლექტივებს უმასპინძლებს. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და უცხოეთის ფოლკლორული კოლექტივები და შემსრულებლები.

ამავე დღეს ზუგდიდში შედგება საესტრადო კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით.

ფესტივალის მეორე დღეს, 16 საათზე ხობში გაიმართება ბავშვთა კოლექტივების კონცერტი, ხოლო საღამოს 20 საათზე ხეთის თეატრონზე შედგება ხობის ფესტივალის ჰიმნის ავტორის, ქართული ესტრადის განუმეორებელი ოსტატის, საქართველოს სახალხო არტისტის, მაესტრო **ალექსანდრე ბასილაიას** ბენეფისი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც ანსამბლ „ივერიის“ წევრები, ასევე ქართული ესტრადის ახალგაზრდა ვარსკვლავები.

ფესტივალის პროგრამით გასულ წლებში გამოცემულ უნიკალურ მონოგრაფიებსა და კომპაქტდისკებს წელს შეემატა მონოგრაფია ალექსანდრე ბასილაიაზე რჩეული სიმღერების კომპაქტდისკით; ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ხობის მუზეუმის ბუკლეტი; ბროშურები სამეგრელოს 6 საუკეთესო ლოტბარზე; ბროშურა გიორგი მთაწმინდელზე; **კომპაქტდისკები** – ქართულ (მეგრულიძ – აფხაზური სიმღერები, სპეციალურად მეოთხე ფესტივალისთვის კომპოზიტორ გომარ სიხარულიძის მიერ შექმნილი სიმღერა „ჩქიმი ჯიმა ძუკუ ლოლუა“, მესამე ფესტივალის დასკვნითი კონცერტის ვიდეოჩანაწერი.



ალექსანდრე ბასილაიას ბენეფისი ფესტივალის მშვენება იქნება...

წლევანდელი ფესტივალის ორგანიზატორები არიან: საერთაშორისო – საქველმოქმედო ფონდი „ხობი“ (პრეზიდენტი გოდერძი ბუკიაძ, ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილიძ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცია სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხობის რაიონის გამგეობა და საკრებულო.

ფესტივალის საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი.

**ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით იმართება.**

---

დღის კალენდარი

18 სექტემბერი

## წლის 261-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 104 დღე.



ამოდის 05.44
ჩადის 18.02



ამოდის 18.27
ჩადის 07.04

### მე-15 შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი

**ხსენება წინასწარმეტყველ ზაქარიასი და მართალი ელისაბედისა,** – მშობელთა იოანე ნათლისმცემელისა (Iძ. მოწამე თიფაილისა და დისა მისისა თიბეასი (98-138ძ; მოწამე სარვილესი; მოწამე რაისასი (დაახლ. 308ძ; იუვენტინე და მაქსიმე მხედართა (361-363ძ; მოწამე ურვანოსი, თეოდორესი, მედიმნესი და მათთანა 77 მამათა, ნიკომიდიას წამებულთა (370ძ; მოწამე აბდიასი, სპარსელისა (Vძ.

**წინასწარმეტყველი ზაქარია და მართალი ელისაბედი** იყვნენ მშობლები უფლის წმიდა წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემელის იოანესი. წარმოშობით პირველმღვდელმთავრის აარონის გვარიდან იყვნენ. მათ შვილი დიდხანს არ ჰყავდათ. ერთხელ, ღვთისმსახურების დროს ტაძარში ზაქარიას ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ეყოლებოდათ ძე, მაგრამ ზაქარიას ანგელოზის სიტყვებში ეჭვი შეეპარა, ამიტომ დაისაჯა, იოანეს დაბადებამდე მეტყველების უნარი დაკარგა.

**მოწამენი თიფაილი და დაი მისი თიბეა** წარმართთა შორის ქრისტეს რწმენის ქადაგებისთვის ევნენ.

**მოწამეები იუვენტინე და მაქსიმე** მხედრები იმპერატორ იულიანე განდგომილის მეფობის ჟამს ევნენ.

**მოწამეები ურვანოსი, თეოდორე და მედიმნე და მათთან ერთად 77 მღვდელმსახური** ნიკომიდიაში ევნენ ქრისტესთვის არიოსის მწვალებლობის მიმდევარი იმპერატორის ვალენტის დროს.

**მოწამე აბდი** სპარსეთში ევნო იეზდიგერდ მეფის დროს. მან უარი განუცხადა მაზდეანებს, განდგომოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას და ცეცხლისთვის ეცა თაყვანი. ამისთვის ის სასტიკად აწამეს.

## დაიბადნენ:

**1946 – თედო ჯაფარიძე,** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი.

**1891 – ოტო შმიდტი,** რუსეთელი გეოფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, გეოგრაფი, მოგზაური. გარდაიცვალა 1956 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**96 – ტიტუს ფლავიუს დომიციანუსი,** რომის იმპერატორი.

**1911 – პიოტრ სტოლიპინი,** გამოჩენილი რუსი პოლიტიკური მოღვაწე, აგრარული რეფორმის ავტორი.

## მოვლენები:

**1769** – ამერიკელმა ჯონ ჰარისმა დაამზადა პირველი ფორტეპიანო.

**1810** – ჩილემ დამოუკიდებლობა მიიღო.

**1850** – აშშ-ს კონგრესმა საემიგრაციო კანონი დაამტკიცა.

**1919** – საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო არგენტინამ.

**1961** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** – კონსტიტუციის კვირეული.
**ნიდერლანდები** – დედოფლის გამოსვლის დღე.
**ჩილე** – დამოუკიდებლობის დღე.

მედიანიუსი

---

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



1 აშშ 1.6785 ლარი
1 ევრო 2.4526 ლარი
1 გირ. სტ. 2.7680 ლარი
100 რუბლი 5.4164 ლარი
1000 სომ. დრამა 4.4502 ლარი
1 აზ. მან. 2.0892 ლარი
10 უკრ. გრივნა 2.0989 ლარი
1 თურქ. ლირა 1.1272 ლარი
10 ჩინ. იუანი 2.4579 ლარი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +23 |
| ქუთაისი. | +16 – +18 |
| ბათუმი. | +16 – +21 |
| ზუგდიდი. | +16 – +18 |
| თელავი. | +12 – +22 |

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ანეკდოტები

სამუშაო დღე მოკლედ მოგეჩვენებათ, თუ სამსახურში ნასადილევს გამოცხადდებით.

* * *

ის, ვინც მუშაობის გარდა არაფერს აკეთებს, არც ფულის გარდა გამოიმუშავებს რამეს.

* * *

ადრე ნოსტალგიაც კი ბევრად უკეთესი იყო.

* * *

გინეკოლოგები – პორნოინდუსტრიისთვის დაკარგული ხალხი.

* * *



რატომ უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს ჩემზე ბევრად მეტი ხელფასი, ორივე ჩვენგანისგან ხომ ხალხს ერთნაირად ნულოვანი შედეგი აქვს?

* * *

ჩვენი მთავრობის მუშაობის პრინციპი: საქმე ერთხელ გააკეთე, თავი შვიდჯერ შეიქე.

* * *

ჩვენთან იმის გასაგებად, რომ კრიზისი დამთავრდა, საკმარისია ტელევიზორის ჩართვა.

ხოლო იმის გასაგებად, რომ კრიზისი არ დამთავრებულა, საკმარისია ტელევიზორის გამორთვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.